პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

12 აპრილი ოთხშაბათი 1972 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 86 (15299)

12 აპრილი კოსმონავტიკის დღეა



ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქიდან და სოფლიდან ადამიანები კალუგაში მოდიან, რომ ნახონ კოსმონავტიკის ისტორიის კ. ე. ციოლკოვსკის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი. სურათზე: თანამგზავრ ხომალდ „ვოსტოკ-5“-ის დასაშვები აპარატი. ხომალდს პილოტობდა სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ვ. ბიკოვსკი 1963 წლის 14-19 ივნისს.

პ. მასლოვის ფოტო. (საკდესის ფოტოქრონიკა).

15 აპრილი კომუნისტური შაბათოობის დღეა

შაბათობამდე სამი დღე დარჩა

როგორ ემზადებით შრომის ზეიმისათვის?

ხუთწლედის ფონდში

შრომის ტრადიციულ ზეიმზე

ასეთია მათი წვლილი

გვესაუბრება საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი

ბ. გრიგალაშვილი.

შაბათობის მზადების დღეები მიიწურა. ახლახან ერთხელ კიდევ შემოწმდა რაიონული შტაბებში შაბათობის მოწყობისათვის მზადების მიმდინარეობა და სასიხარულოა, რომ დედაქალაქის საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივებმა მაღალი ენთუზიაზმი გამოავლინეს, კომუნისტური შრომის ზეიმისათვის გულდასმით მოემზადნენ.

შარშანდელთან განსხვავებით შაბათობის მოწყობის საქალაქო შტაბმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დედაქალაქის რაიონების საშეფო დახმარებას თბილისის ახლომდებარე რაიონებისადმი. 15 აპრილს ორჯონიკიძის, პირველი მაისის, კალინინის სახელობის რაიონების მშრომელთა ბრიგადები საშეფო დახმარებას გაუწევენ მცხეთის, თეთრი წყაროს, კასპის მშრომლებს.

მაგრამ ძირითადი სამუშაოები, მაინც დედაქალაქში უნდა შესრულდეს. ცალკეული მოწინავე საწარმოების ინიციატივით შაბათობისათვის მზადება მიმდინარეობდა მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების ნიშნით. მაგალითად, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანამ ვალდებულება იკისრა 15 აპრილს დაზოგილი ნედლეულითა და ელექტროენერგიით იმუშაოს. სასიხარულოა, რომ კოლექტივები მაღალი ენთუზიაზმით ემზადებოდნენ როგორც ძირითადი, ისე კეთილმოწყობის სამუშაოების ორგანიზებულად ჩატარებისათვის. ამ დღეს ხუთწლედის ფონდში გადარიცხული დიდძალი თანხა, გამომუშავებული დიდძალი პროდუქცია დედაქალაქის მშრომელთა თავდადების მხოლოდ ერთი მხარე იქნება, რადგან შაბათობაზე კვლავაც გაგრძელდება ძველი ტრადიცია — გავამწვანოთ და ვაგალამაზოთ ჩვენი დედაქალაქი. კეთილმოწყობის სამუშაოების ორგანიზებულად განხორციელებისათვის რაიონულმა წტაბებმა თავიანთი ტერიტორიები დაყვეს მიკრორაიონებად, რომ თვითეულ კოლექტივს თავისი სამუშაო უბანი ჰქონდეს. გარდა იმისა, რომ გალამაზდება ქუჩები, საწარმოების ეზოები, ბინა-კარები, ტერიტორიები, რაიონების მშრომელები დიდ ყურადღებას დაუთმობენ დედაქალაქის ტერიტორიებზე ახალ დასახლებათა გამწვანების საქმეს. სულ ქალაქში 44 ათასი ძირი ხე და ბუჩქი უნდა დაირგოს.

რაიონულ შტაბებს დავალება მიეცათ შაბათობის დღეს მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ დედაქალაქის სკვერების კეთილმოწყობას. სკვერები ბევრი გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი მოუვლელია, საჭიროა საფუძვლიანად გავაახლოთ. ახალი სკვერების მოწყობა კარგია, მაგრამ სჯობს, რაც გვაქვს, ისეთი და მოვლილი იყოს, როგორიც ჩვენს ქალაქს ეკადრება. რაიონულმა შტაბებმა სკვერების კეთილმოწყობისათვის კონკრეტული გეგმები შეიმუშავეს და ადგილებზე შექმნეს სპეციალური ბრიგადები.

ინიციატივით გამოვიდა ქალაქის კომკავშირული ორგანიზაცია. 500 კომკავშირელი დამკვრელურად იწრთვნებს საბურთალოს მიმართულებით მეტროპოლიტენის სამშენებლო ობიექტებზე, მეტეხის საავტომობილო გვირაბის მშენებლობაზე.

მაღალი ვალდებულებები იკისრეს დედაქალაქის რაიონებმა. ეს ვალდებულებები ადასტურებენ, რომ შაბათობა ნამდვილად მასობრივი იქნება. მაგალითად, შაბათობაში ლენინის რაიონის 249 საწარმოსა და დაწესებულების 69 ათასი მშრომელი მიიღებს მონაწილეობას, გამომუშავებულ იქნება 500 ათასი მანეთის პროდუქცია, ხუთწლედის ფონდში გადარიცხება 70 ათასი მანეთი; პირველი მაისის რაიონის მშრომელთა 60 ათასიანი არმია ათობით ათას მანეთს გადარიცხავს ხუთწლედის ფონდში, დარგავს 5 ათას ძირ ხესა და ბუჩქს. შაბათობაზე მასობრივად გამოვლენ აგრეთვე კიროვის, ოქტომბრის, 26 კომისრის, კალინინის, ორჯონიკიძის რაიონების საწარმოებისა და დაწესებულებების კოლექტივები. ხუთწლედის ფონდში დედაქალაქის მშრომელები 400 ათასი მანეთს შეიტანენ.

ასეთია მათი წვლილი

თბილისი. პირველ კვარტალში ასი ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გაუგზავნა მომხმარებელს თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის (დირექტორი დ. ჯაფარიძე) კოლექტივმა. ქიმიკოსები კარგად შრომობენ აპრილშიც. კომუნისტური შრომის ზეიმისათვის მზადების ამ დღეებში დავალებები გადაჭარბებით სრულდება.

ქარხნის კომუნისტური შრომის საამქროებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება პირადი ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, ნოვატორმა მუშებმა ვალდებულება იკისრეს შაბათობის დღეს პირადი ნორმები ორმაგი გადაძღებით განაღაღონ და მხოლოდ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია გამოუშვან. შაბათობისათვის კარგად მოემზადნენ საამპულე, სატაბლეტე-საფასოო, ტანინის საამქროების კოლექტივები, რომლებსაც მ. იაშვილი, ვ. ქორქია, ი. კაზანიკაშვილი ხელმძღვანელობენ. ყოველდღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მუშები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ალექსეევა, ც. ფერაძე, ლ. ხალატოვა, ნ. აბულაძე, ნ. სურგულაძე.

თბილისი. წინდების ფაბრიკა „კოწანისის“ (დირექტორი ზ. გოგისვანიძე) კოლექტივმა ხუთწლედის მეორე წელს შრომის დამკვრელური ტემპი აიღო. მეწინდეებმა პირველი კვარტალის გეგმა უველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით შეასრულეს. პროდუქციის რეალიზაციის დავალება 101,5 პროცენტით გაანაღდეს და გეგმას 22 ათასი მანეთით გადაჭარბეს. ნატურაპროდუქციის გამოშვებას 133 ათასი წყვილით გადაამეტეს, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით აამაღლეს, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 9 პროცენტით გაზარდეს.

საწარმოს კოლექტივი აღმავლობით ემზადება კომუნისტური შაბათობისათვის. აქ ერთსულოვნად გადაწყვეტეს საწარმოს უველა მუშაკი გამოვიდეს სამუშაოდ, ამ დღეს იმუშაონ დამკვრელურად, გამოუშვან 25 ათასი წყვილი წინდა და გამომუშავებული 3.800 მანეთი მთლიანად შეიტანონ ხუთწლედის ფონდში, დაასუფთაონ ფაბრიკის ტერიტორია და ახლო მდებარე ქუჩები.

ჭიათურა. (საკ. კორ.). ვადამდე შევასრულოთ მეცხრე ხუთწლედის დავალება, შრომითი წარმატებებით შევხვდეთ საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს. — ამ ლოზუნგით შრომობს და იმარჯვებს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი. სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით, მეცხიერების მიღწევათა მკვრელური ტემპი ავიღოთ. ბრიგადებმა პირველი კვარტალის გეგმა უველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით შეასრულეს. პროდუქციის რეალიზაციის დავალება 101,5 პროცენტით გაანაღდეს და გეგმას 22 ათასი მანეთით გადაჭარბეს. ნატურაპროდუქციის გამოშვებას 133 ათასი წყვილით გადაამეტეს, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3 პროცენტით აამაღლეს, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 9 პროცენტით გაზარდეს.

ნაკიცარ ვალდებულებებს გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო უბნების კოლექტივები, რომლებსაც გ. ბუმბურიძე, ა. ღუღუნიშვილი, მ. მოდებაძე უძღვიანან. გამართულად მუშაობს აგრეთვე მაღნის გამამდიდრებელი ფაბრიკა.

მაღაროს კოლექტივი ახლა გულდასმით ემზადება იმისათვის, რომ ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნოს კომუნისტური შაბათობის დღე და თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს ხუთწლედის ფონდში.

ქობულეთი. (საკ. კორ.). აგარსოფლტექნიკის ქობულეთის განყოფილების (მმართველი რ. ხინიკაძე) კოლექტივმა გადაწყვიტა შაბათობის დღეს ძირითად სამუშაოსთან ერთად გამწვანების სამუშაოებიც შეასრულოს. ნაკისრია გაზრდილი ვალდებულებები. განყოფილების ტრაქტორები ამ დღეს შეასრულებენ 3 ათას კუბურ მეტრ მიწის სამუშაოს, მოხნავენ 20 ჰექტარ ფართობს, შეუმლავენ 20 ჰექტარ ციტრუსების პლანტაციას, მუშა-მოსამსახურეები დარგავენ 100 ძირ კაკლის და მსხლის ნერგებს, ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 500 მანეთი.

ვიპყრობთ სიმაღლეებსა და ორბიტებს

კოსმონავტიკის დღის წინ საკადესის კორესპონდენტი ლ. მარკელოვა შეხვდა საბჭოთა კავშირის გმირს სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს გ. ბეკეტოვს-ძე ვოლინოვს. აი, რას გვიამბობს იგი:

კოსმონავტიკის დღე მსოფლიოს ყველა ადამიანისა და მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაულია, ხალხისა, რომელმაც პირველმა გაკვალა გზა სამყაროს გამოუცნობ სივრცეებში. ეს დღე გახდა სიმბოლო მსოფლიო პროგრესისა, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანთა კეთილდღეობას, და ამიტომ ამ დღეს აღვნიშნავთ, როგორც საერთაშორისო მოვლენას, ბუნების ძალებზე კაცობრიობის მზარდი ბატონობის ნიშანს.

იური გაგარინი, სამშობლოს შესანიშნავი შვილი, ისტორიაში შევიდა როგორც პირველი კოსმონავტი, როგორც რაინდი სამყაროს სივრცეებისა, სადაც მანამდე ვერც ერთ ადამიანს ვერ გაეხედა შეღწევა. მისი შესანიშნავი სახე კვლავ აღგვაფრთოვანებს ჩვენ — მის მეგობრებს. გზას რომ ულოცავდა იმათ, ვინც მისგან იღებდა კოსმოსის ათვისების ეტაპებად, იური მუდამ ამბობდა, კოსმონავტიკა თვითმიზანი როდია. მას შეუძლია მოუტანოს და კიდეკიც უნდა მოუტანოს დიდი სარგებლობა კაცობრიობას — აღმოაჩინოს მისთვის ახალი სამყაროები, მოაპოვებინოს ბატონობა ბუნებაზე, განაზორციელოს კონტინენტთა უფრო სწრაფი კავშირურთიერთობა. როგორც ვხედავთ, ნაზგასმით აღნიშნა ბ. ვ. ვოლინოვმა, სწორედ ეს არის კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების მრავალმხრივი საბჭოური პროგრამის მთავარი მიზანი, რომელიც ზუსტადაა ჩამოყალიბებული სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში. მინდა მოკლედ აღვნიშნო ამ პროგრამის ძირითადი მომენტები, განადგრძო კოსმონავტმა, გავუზიარო მკითხველს ჩემი აზრი იმ ტექნიკურ საშუალებათა სრულყოფის პრინციპებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სულ უფრო რთული ექსპერიმენტების განხორციელებას.

ახლა, როცა მსოფლიო კოსმონავტიკაში წინა პლანზე დადგა ორბიტაზე ხანგრძლივი სადგურების შექმნის პრობლემა, რომელთაც შეუძლიათ შეასრულონ ფართო სამეურნეო და მეცნიერული ამოცანები, სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებს განსაკუთრებით აინტერესებთ საკითხი იმ სატრანსპორტო საშუალებათა შესახებ, რომლებიც საჭიროა ასეთ სადგურებზე მოწყობილობის მისატანად და ეკიპაჟების შესაცვლელად. ცნობილია მრავალი პროექტი და სხვადასხვა წინადადება სატრანსპორტო კოსმოსური ხომალდების კონსტრუქციებისა და ფუნქციონირების შესახებ. დედამიწასა და ორბიტას შორის მიმოსვლის ამგვარ საშუალებათა პირველსახე იყო საბჭოთა კოსმოსური „სოიუზ“ ხომალდი. იგი გამოირჩევა საკმარ მანევრულობითა და იმ შესაძლებლობით, რომ სათანადო მომენტში „გადაიქცეს“ მეცნიერული დანიშნულების ორბიტული სადგურის კომპლექსის შემადგენელ ნაწილად.

ამას წინათ სამი წელიწადი შესრულდა იმ დღიდან, როცა ჩემმა ამხანაგებმა და მე მონაწილეობა მივიღეთ სამუშაოს განხორციელებაში, რომელმაც ექსპერიმენტულად დაადასტურა შეპირაპირებული „სოიუზ“ ხომალდებისაგან ორბიტული სადგურის შექმნის შესაძლებლობა.

რა თქმა უნდა, ეს იყო მხოლოდ რეპეტიცია, რომელიც გულისხმობდა ერთი ხომალდიდან მეორეში „სტუმრობას“ ღია კოსმოსის გავლით, მაგრამ პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი რეპეტიცია, რომელსაც მოჰყვებოდა შემდგომი ეტაპი — „შვიდეულის“ განთქმული ჯგუფური ფრენა „სოიუზ-6“, „სოიუზ-7“ და „სოიუზ-8“ ხომალდებით, რომელსაც საერთო მეთაურობას უწევდა ვ. ა. შატალოვი. მომდევნო ნაბიჯი გახდა ა. გ. ნიკოლაევისა და გ. ი. სევასტიანოვის შესანიშნავი თვრამეტი დღე-ღამის ფრენა „სოიუზ-9“ ხომალდით. და ბოლოს, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო მსოფლიოში პირველი ორბიტული „სალუტ“ სადგურის გაყვანა.

კოსმოსური ხომალდების ყველა ტექნიკური, ავტომატური სისტემის, ხელსაწყოებისა და აგრეგატების მთელი კომპლექსის ზუსტ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული ამა თუ იმ ეკიპაჟის ფრენის დავალების წარმატებით შესრულება. ერთი სიტყვით, ახლა ავტომატიკის განვითარების დონე განსაზღვრავს ეკონომიურ ამოცანათა გადაწყვეტის ტემპს, ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით, არის საფუძველი, რომელიც ასაზრდოებს კოსმოსური კვლევის მთელ ფონტს.

ამიტომ, როცა ვაფასებთ იმ პერიოდის ზოგიერთ შედეგს, რომელიც ყოფს კოსმონავტიკის წინა დღეს დღევანდელობისაგან, დუმილით ვერ ავუვლით გვერდს მიღწევებს, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა კვლევითი და ტექნიკური აზრის ძლევამოსილ წინსვლას. როცა ჩვენი საპლანეტათაშორისო ავტომატური სადგური „მარს-3“ მარსზე დაჯდა, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ საბჭოთა ადამიანს, რომლის ხელით შეიქმნა ეს გონიერი და ზუსტი აპარატი, მისწვდა წითელ პლანეტას, დაამყარა მასთან პირდაპირი კონტაქტი. როცა „ლუნა-20“ სადგურის ბუღრი შეიერა მთვარის ორი „ზღვის“ საზღვარზე გადაჭიმულ კლდეში, არავის ეჭვი არ შეპპარვია, რომ ეს მუშაობს დედამიწელი ადამიანი, რომელიც სწვდება ახალი ციური სხეულების ბუნებას. ახლახან კი „ვენერა-8“ გაემართა შორეულ გზაზე ცისკრის ვარსკვლავისაკენ, მეცნიერთაგან მიიღო კვლევის ისეთი პროგრამა, რომელიც ჯერ-ჯერობით შეიძლება მხოლოდ ავტომატს მიენდოს.

კოსმოსურმა კვლევამ სტიმული მისცა თანამედროვე ტექნიკის ბევრი დარგის განვითარებას, ხელი შეუწყო პრინციპულად ახალი მასალების შექმნას, რომელთაც შეუძლიათ გაუძლონ უაღრესად დაბალ და ზემაღალ ტემპერატურებს, ცვლად დატვირთვებს, ვიბრაციას, დაძაბულობის მკვეთრ ცვლას. ახეთი მასალები იქმნება და ზოგიერთი მათგანი უკვე ფართოდ არის გამოყენებული დედამიწის ტექნიკაში, კერძოდ, დარგებში, რომლებიც ასე თუ ისე უკავშირდებიან პლაზმურ პროცესებს. კოსმოსის პირობებში კვლევითი აპარატურისადმი წაყენებულმა მოთხოვნებმა არსებითი გავლენა მოახდინეს ტექნიკური საშუალებების მიკრომინიატურიზაციის პრაქტიკაზე. ეს განსაკუთრებით შეეხო ელექტრონიკასა და გამოსათვლელ ტექნიკას.

ადამიანსა და ავტომატს შორის ფუნქციების განაწილება ისეთი პრობლემაა, რომელიც ბევრს აინტერესებს და რაც ფურო მეტ სამალღლეებსა და ორბიტებს დავიპყრობთ, მით უფრო მრავალფეროვანი იქნება ეს პრობლემა.

სად და როდის შეიძლება ადამიანისა და ავტომატის შერწყმა კოსმოსში? სად უნდა მიეცეს უპირატესობა ავტომატს, სად კი ადამიანს? ყოველივე ეს დაკავშირებულია კონკრეტულ პირობებთან და ამოცანებთან. მხოლოდ იმას ვიტყვი, დაასკვნა ბორის ვოლინოვმა, რომ მე ძალიან გამიტაცა კოსმოსური მეტეოროლოგიის რომლმა და არ მინდა „კოსკურენტმა“ — „მეტეორის“ სისტემის მეტეოროლოგიურ თანამგზავრებს დავუთმო ეს. მინდა მათთან ერთად, კი უფრო სწორად, პარალელურად მუშაობა, რადგან ორბიტულ სადგურებზე აუცილებლად იქნებიან მეტეოროლოგი კოსმონავტები, რომლებიც შესაბამისი ავტომატებით მართავენ მათ და იწინასწარმეტყველებენ ამინდს დედამიწელებისათვის. მათზე, მათ კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე ვფიქრობდი თავის დროზე მეც იმ დღეს, როცა, „სოიუზ-5“ ხომალდიდან დავინახე ინდოეთის ოკეანის თავზე სალელეკო ღრუბლების გროვა, და დედამიწაზე გადმოვეცი: პლანეტის ამა და ამ წერტილში ისახება ტროპიკული ციკლონი, გააფრთხილეთ მეთქი მოსახლეობა!

1972 წელი კოსმოსური ერის მეთხუთმეტე წელი და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ორმოცდამეათე წელია. კოსმონავტიკის დღეს ამ შესანიშნავ წელს, ჩვენ, ვარსკვლაველთა ქალაქის მცხოვრენი, მთელ საბჭოთა ადამიანებთან ერთად ვიგებებით შემოქმედებითი ძალ-ღონით, ახალი ფიქრებით, შრომითი აღმავლობით აღსავსენი, მზად ვართ შეავასრულოთ მშობლიური პარტიის წინასწარდასახულობანი.

გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში

საბჭოთა კავშირში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ჰონეკერის ყოფნის გამო

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 4-დან 10 აპრილამდე საბჭოთა კავშირში პროფესიონალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ე. ჰონეკერი გეაცნო ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მთელ რიგ სამრეწველო და კულტურულ ობიექტებს.

ვიზიტის დროს გაიმართა გულთბადი, ამხანაგური საუბრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგენტალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და ე. ჰონეკერს შორის.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ძირითად საკითხებზე, განსაკუთრებით შეეხნენ სკკპ XXIV ყრილობისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაწეულ მუშაობაში მიღწეულ შედეგებს.

დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შემდგომ ფოვეღმხრივ განვითარებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება გრძელვადიან საფუძველზე საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის დაგეგმვის სრულყოფისათვის იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც დასახულია სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამით.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტებსა და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს შორის კავშირი განუხრელად ვითარდება, რაც ხელს უწყობს პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გამოცდილების ნაყოფიერ ურთიერთგაზიარებას.

საუბრების დროს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა განიხილეს აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ვითარებას ევროპაში, სადაც, მიუხედავად რეაქციული იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგობისა, კვლავ ვითარდება დაძაბულობის შენელების ტენდენცია. საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიერ განხორციელებული აქციები იმ ხაზის შესაბამისად, რომელიც დასახა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის პრაღის ამსახველ სხდომაზე, ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილია იმ ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც ხელს უწყობს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხების კონსტრუქციულ განხილვას. საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, პოლონეთისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებათა მომავალმა რატიფიკაციამ და დასაბეჭდი ბერლინის გამოთამაშრივი შეთანხმების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტრანზიტის გამო შეთანხმების, აგრეთვე დასაბეჭდი ბერლინის სენატისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შეთანხმების ძალაში შესვლამ ხელი უნდა შეუწყოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან სოციალისტური ქვეყნების მრავალმხრივ, ურთიერთსიხელსაყრელ თანამშრომლობასა და ურთიერთობის შემდგომ ნორმალიზაციას, ახალი სტიმულები მისცეს ევროპის მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა დადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ძმური სოლიდარობას უცხადებენ გმირ ვიეტნამელ ხალხს, ლაოსელ და კამბოჯელ პატრიოტებს. მათ შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს ინდოჩინეთში ფართოვდება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია. პარიზის მოლაპარაკების ბოიკოტის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები დაადგნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ახალი დბომბვის გზას. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხები გადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების ამ აგრესიულ მოქმედებას.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ერთნაირი შეხედულება აქვთ არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ ისრაელის იმპერიალისტური აგრესიის შედეგების ლიკვიდაციის საჭიროების შესახებ.

აზრთა ურთიერთგაზიარების დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია კვლავაც ყოველნაირად შეუწყობენ ხელს სოციალისტური ქვეყნების, მთელი რევოლუციური ძალების ერთიანობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერის შეხვედრებმა ერთსულოვნების, გულწრფელობისა და ძმური მეგობრობის ვითარებაში ჩაიარა.

10 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ სადილი გამართა ამხ. ე. ჰონეკერის პატივსაცემად. სადილის დროს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ე. ჰონეკერმა სიტყვები წარმოთქვეს.

იმავე დღეს ამხ. ე. ჰონეკერი სამშობლოში გამგზავრა.

აეროდრომზე საპატიო სტუმარი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ბ. კატუშევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ა. ი. ბლატოვმა. გაცილებაში მონაწილეობდა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. ხ. ბიბნერი.

ნ. ვ. პოდგორნი თურქეთში

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯევდეთ სუნაის მიწვევით 11 აპრილს მოსკოვიდან ანკარაში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ნ. ვ. პოდგორნი გააცილეს ამხანაგებმა **დ. ხ. პოლიანსკიმ, ი. ვ. ანდროპოვმა,** სხვა ოფიციალურმა პირებმა. (საკდესი).

ანკარა. 11 აპრილი. (საკდესი). დღეს ანკარაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი** და მისი თანმხლები პირები.

ესენბოგის აეროდრომზე საბჭოთა სტუმრებს შეხვდნენ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჯევდეთ სუნაი,** სენატის თავმჯდომარე **თეკინ არიბურუნი,** ეროვნული პალატის თავმჯდომარე **ხანთან ოსმან ავჯი,** პრემიერ-მინისტრი **ნიჰად ერიმი,** თურქეთის პარლამენტის წევრები, სხვა ოფიციალური პირები.

ეფერს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. ქუჩს საარტილერიო სალუტი. ნ. ვ. პოდგორნიმ და ჯ. სუნაიმ ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის განცხადებაში პრესისათვის ნათქვამია:

„დიდი ინტერესით, კეთილი მეგობრული გრძნობებით კვლავ ვეწვიეთ თურქეთის რესპუბლიკას. ჩვენ ჩამოვედით ოფიციალური ვიზიტით პრეზიდენტ ჯევდეთ სუნაის თავაზიანი მოწვევით, რათა უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციების სულისკვეთებით გავუზიაროთ მას და თურქეთის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებს ახრები საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის საკითხებზე და აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

საბჭოთა კავშირი და თურქეთი ახლო მეზობლები არიან. მეზობელ სახელმწიფოთა ბუნებრივი მისწრაფებაა იქონიონ კარგი, მეგობრული ურთიერთობა.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას საბჭოთა კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის.

ესარგებლობ რა შემთხვევით, მინდა სალამი გადავცე და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად ჩემი სახელით ანკარის მოსახლეობასა და მთელ თურქ ხალხს“.

ნ. ვ. პოდგორნი ჯ. სუნაისთან ერთად მიემართება მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში.

ორბიტაზეა „ინტერკოსმოს-6“

ფრენის მართვის ცენტრი. 10 აპრილი. (საკდესის კორ.). უკვე მეოთხე დღეა ორბიტაზე დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „ინტერკოსმოს-6“, რომელიც გაშვებულია კოსმოსის კვლევაში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამით.

10 აპრილისათვის თანამგზავრმა 46-ჯერ შემოუარა დედამიწას.

სამეცნიერო აპარატურა, რომელიც შეიმუშავეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკების სპეციალისტებმა და გათვალისწინებულია პირველადი კოსმოსური გამოსხივების კვლევისათვის, ნორმალურად მუშაობს. უკვე განხორციელდა თანამგზავრთა კავშირის რამდენიმე სეანსი. მიღებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ წნევა, ტემპერატურა და ენერგოგადაცემა თანამგზავრზე შეესაბამება გათვალისწინებულს.

მიმდინარეობს მუშაობა ექსპერიმენტის მეცნიერული პროგრამის შესასრულებლად. იგი დაიწყო მაშინვე, როგორც „ინტერკოსმოს-6“ თანამგზავრი გამოეყო მატარებელი რაკეტის უკანასკნელ საფეხურს და კვება მიიღო მისმა სამეცნიერო აპარატურამ. დედამიწიდან პირველი გარშემოვლის შემდეგ მიღებული ბრძანებით ჩაირთო ფოტორეგისტრატორები, რომლებიც აღიცხავენ ატომურ ბირთვებთან პირველადი კოსმოსური ნაწილაკების ურთიერთმოქმედების შედეგებს. ამისათვის თანამგზავრს ჯერ კიდევ პირველი გარშემოვლის დროს იმნაირი გეზი მისცეს, რომ ხელსაწყოს შესასვლელი „ფანჯარა“ მუდამ მიმართული ყოფილიყო ნაწილაკების ნაკადის შესახვედრად.

ფრენის პირველ დღეებში მიმდინარეობდა ხელსაწყოს მუშაობის უნარის კონტროლი და აპარატურის გრძნობიარობის კორექცია თანამგზავრიდან მიღებული ტელემეტრიული ინფორმაციის მიხედვით, აპარატურის გამართვის ეს ოპერაცია დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ხელსაწყოში შედის სხვადასხვა ენერგიის ნაწილაკები, მილიარდობით ელექტრონულტით დაწყებული და ათასობით მილიარდით დამთავრებული.

აპარატურისა და სისტემების მუშაობის შესახებ თანამგზავრიდან გადმოცემული მონაცემების თანახმად სპეციალისტები ეწ

პარტიული ცხოვრება

ადამიანი პარტიაში მიიღეს

მუდმივი ზრუნვა—ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდას

ბაკბ XXIV ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო შინაპარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების შემდგომი სრულყოფისა და განვითარების საკითხებს. შინაპარტიული მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს კი ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდა წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, კომუნისტის ფორმირების პროცესი პარტიაში მიღებით არ მთავრდება. პირველადი პარტიული ორგანიზაცია პარტიის ის ძირითადი რგოლია, სადაც ხდება ახალგაზრდა კომუნისტის იდეური აღზრდა. მისი როგორც პოლიტიკური მებრძოლის ჩამოყალიბება. ვერაფერი ვერ შეცვლის აღზრდის იმ სკოლას, რომელსაც კომუნისტი გადის თავის პარტიულ კოლექტივში.

ყველაზე უკეთეს წრთობას პარტიის წევრობის კანდიდატები და ახალგაზრდა წევრები იმ პარტიულ ორგანიზაციაში იღებენ, სადაც კარგად არის დაყენებული ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, ფართო განვითარებასა და მხარდაჭერას პოულობს შინაპარტიული დემოკრატია, კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობაში პარტიული ორგანიზაციები მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს იყენებენ. მათ ავალებენ პარტიული კრებებისა და ბიუროს სხდომებისათვის საკითხების მომზადებასა და განხილვას, აცნობენ სკკპ პროგრამასა და წესდებას, პარტიის წევრის უფლება-მოვალეობას, განუმარტავენ კომუნისტის ავანგარდულ როლს წარმოებაში, აერთიანებენ სკოლებში, წრეებში, ეხმარებიან მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად დაუფლებაში, აძლევენ პარტიულ დავალებებს ცოდნისა და უნარის გათვალისწინებით. პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტები პერიოდულად აწყობენ შეკრებებს, საუბრებს, რომლებშიც მონაწილეობას იღებენ პარტიულ ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები, ძველი ბოლშევიკები, მუშათა კლასის ოვალსაჩინო წარმომადგენლები.

ის ფაქტი, რომ ამჟამად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობაში სამ წლამდე სტაჟის მქონე კომუნისტები 10 პროცენტს შეადგენენ, მიუთითებს იმ დიდ ამოცანებზე, რომლებიც დგას პარტიული ორგანიზაციების წინაშე ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის საქმეში.

პარტიული კრება აღზრდის საუკეთესო სკოლაა. უნარიანად ახერხებენ ახალგაზრდა კომუნისტთა მონაწილეობას საამქროთა პარტიული ორგანიზაციების ბიუროების, კრებებისა და პარტიული კომიტეტის სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში. აქ პარტიის წევრობის კანდიდატებსა და სკკპ წევრებად ახალმიღებულებს ერთიანებენ კრებებსა და ბიუროებზე განსახილველი საკითხების შემსწავლელ კომისიებში, ანგარიშს უწევენ მათ მიერ საჯაროდ გამოთქმულ სამართლიან წინადადებებსა და განცხადებებს. არაერთი საკითხი შეუსწავლიათ და მსჯელობის საგნად გაუხდიათ ახალგაზრდა კომუნისტებს ა. ქისტაურს, ო. თურქიას, გ. გუგუნავილს, მ. დადებაშვილს, მ. ტალახაძეს, ა. ბერაძეს, დ. ჭამბაძეს, დ. სანიკაძეს, რომლებიც საწარმოო დავალებების გადამეტებით შესრულებასთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ქარხნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

უკანასკნელ წლებში პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა ეფექტურად იყენებს ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის ისეთ ფორმას, როგორიც არის „ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლები". მათში, როგორც წესი, გაერთიანებული არიან სკკპ წევრობის კანდიდატები და პარტიის წევრები სამ წლამდე სტაჟით. იქ. სადაც სკოლების მუშაობა თავისი მოწოდების სიმაღლეზეა, წარმატებით მიმდინარეობს პარტიის რიგებში ახალშესული თაობის იდეური ფორმირება.

ზოგ შემთხვევაში ასეთი სკოლები შექმნილია პარტიის რაიონულ კომიტეტებთან, ხოლო იმ მრავალრიცხოვან პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებიც აკმაყოფილებენ სკოლის შექმნის პირობებს, ქმნიან მათ როგორც პირველადს, ისე საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებთან, მაგალითად, ასეთი სკოლები საამქროს პარტორგანიზაციებთან არსებობენ თბილისის საავიაციო ქარხანაში. ამ საწარმოს პარტიულ ორგანიზაციაში ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საამქრო პარტიული ორგანიზაციები მეტ დახმარებასა და კონტროლს აწესებენ თვითეული კომუნისტის საქმიანობასა და მათ მიერ საწესდებო მოვალეობის შესრულებაზე. სამაგალითო შრომით და პარტიული დავალებების სანიმუშო შესრულებით გამოირჩევიან ეს კომკავშირულ-ახალგაზრდული საწარმოო ბრიგადები, რომლებსაც ზეინკალი ტ. ზუკაკიშვილი, ხარატები მ. სალიაშვილი და ა. ჭანტურიძე ხელმძღვანელობენ.

მარტო ის ფაქტი, რომ 64 ახალგაზრდა კომუნისტი არჩეულია კომკავშირის ორგანიზაციების მდივნებად, კომიტეტების წევრებად, ასრულებენ პროპაგანდისტის, პოლიტინფორმატორის სპპაგონ მოვალეობას და სხვა სახის პარტიულ დავალებებს, მიუთითებს, რომ ქარხნის პარტიული კომიტეტი სწორად წყვეტავთავს ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდას.

ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის კარგი გამოცდილება შეიძინა თბილისის სართავ-საატრიკოტაჟო კომბინატის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტკომის მდივანი ა. ტატაშვილი). აქ მომუშავე ახალგაზრდა კომუნისტები ბევრი ნოვატორული და პატრიოტული თაოსნობის ინიციატორები არიან. სახასელო და/ მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ახალგაზრდა კომუნისტმა მზია არართანაშვილმა. იგი გახდა ავტორი პატრიოტული თაოსნობისა დევიზით: „ხუთი დღის ნორმა — ოთხ დღეში", რომელსაც რესპუბლიკაში ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის პასუხსაგები ამოცანების განხორციელებასთან არის დაკავშირებული თვითეული საბჭოთა ადამიანის მოღვაწეობა. სწორედ ამიტომ პარტიის წესდება კომუნისტისაგან მოითხოვს ძირითად მოვალეობად გაიხადოს ბრძოლა „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, იყოს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაგალითი, ზრდიდეს შრომის ნაყოფიერებას, იყოს ყოველივე ახლის, პროგრესულის წამომწყები, მხარს უჭერდეს და ავრცელებდეს მოწინავე გამოცდილებას".

ამ საწესდებო მოთხოვნების შესრულებას უნდა ემსახურებოდეს პარტიულ ორგანიზაციათა მთელი საქმიანობა. მათ უნდა მიაღწიონ, რომ ახალგაზრდა კომუნისტები აქტიურად მონაწილეობდნენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში.

სწორედ მუშაობის ასე წარმართვამ განაპირობა რესპუბლიკის ისეთი მსხვილი სამრეწველო საწარმოს უკანასკნელი წლების სამეურნეო წარმატებები, როგორიც არის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა.

ავტომფლენებელთა პარტკომი და საამქრო პარტორგანიზაციები, ახალგაზრდა ავტომშენებლების ოდენ მთელ საქმიანობას ეწევიან სახელოვანი მუშის, რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის, სოციალისტური შრომის გმირის ი. ხაზარაძისა და სხვათა მაგალითებზე. იქ 16 რაციონალიზატორთა კომპლექსურ ბრიგადაში, რომლებშიც 145 კაცია გაერთიანებული და ი. ხაზარაძის მეთოდით მუშაობს დიდი უმრავლესობა ახალგაზრდა კომუნისტებია. ქარხნის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მთელ პლეადას, რომელიც 900-მდე კაცს აერთიანებს, ამშვენებენ ისეთი ახალგაზრდა კომუნისტი რაციონალიზატორები, როგორიც არიან გ. რუსია, შ. გიგინეიშვილი, კ. ჩაგანავა, ვ. მინაძე, ჯ. გუგავა, თ. ბოკორიშვილი, ა. ქორიძე და სხვები.

მარტო შასის საამქროს რაციონალიზატორის გ. რუსიას მიერ გასულ წელს შეტანილმა და დანერგულმა 8 წინადადებამ წარმოებას 22 ათასი მანეთი წლიური ეკონომია მისცა, ხოლო ა. ქორიძის 6 წინადადების განხორციელებით დაზოგილია 16 ათასი მანეთი.

საწარმოში ფართოდ დაუჭირეს მხარი სარატოველთა მეთოდს, რომელიც პროდუქციის პირველი წარდგენისთანავე ჩაბარებას ითვალისწინებს. ცალკეულ საამქროებში დაინერგა ე. წ. „ბალური სისტემა", რამაც საგრძნობლად აამაღლა დაინტერესება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დიდი პოპულარობით საგრძნობლად ხასიათდებოდა საკუთარი დამღით შემუშავეთა გამოცდილება. ამჟამად საკუთარი დამღით 210 კაცი მუშაობს, რომელთა უმრავლესობა ახალგაზრდა კომუნისტებია.

პარტიული დავალება აღზრდის საუკეთესო საშუალებაა. მოსახლეობელია, რომ ქარხნის 134 ახალგაზრდა კომუნისტი არჩეულია საამქრო და განყოფილებების კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებად, მდივნების მოადგილეებად და ბიუროების წევრებად.

ახალგაზრდა კომუნისტებთან, განსაკუთრებით პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის სასარგებლო სიახლე დაინერგა და დამკვიდრდა პარტიის თბილისის კალინინის რაიონულ კომიტეტში. აქ 1970 წლიდან ახალგაზრდა კომუნისტთა სკოლებში გაერთიანებულ სკკპ წევრობის კანდიდატებისათვის შემოღებულია „საკანდიდატო სტაჟის გავლის ბარათი". ასეთი ბარათები ეძლევათ პარტიის საკანდიდატო ბარათთან ერთად, რომელსაც გარეკანზე აწერია მისი მფლობელის გვარი, სახელი და მამის სახელი, კანდიდატად შესვლის რიცხვი, თვე და წელი. ბარათის პირველ გვერდზე დაბეჭდილია სკკპ წესდებიდან ამონაწერი. თუ ვინ შეიძლება იყოს პარტიის წევრი, რატომ და რა დროით არის დაწესებული საკანდიდატო სტაჟი. ბარათი ხუთი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში აღინიშნება, თუ კანდიდატს რა დავალება მიეცეს და როდის, აქვე �debs ჩანაწერი დავალების შესრულების შესახებ; მეორე განყოფილებაში აღრიცხულია მისი მონაწილეობა ცალკეულ ღონისძიებებში, მესამე განყოფილება დათმობილი აქვს კანდიდატის მონაწილეობას საწარმოს, დაწესებულების საქმიანობაში, მეოთხე განყოფილება დათმობილი აქვს იმას, თუ რა წესით და როგორ იმაღლებდა კომუნისტი თავის იდეურ-თეორიული ცოდნის დონეს, ხოლო მეხუთე განყოფილებაში პარტიის რაიონული კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი აკეთებს სათანადო ჩანაწერს „ახალგაზრდა კომუნისტის დღეზე" მისი დასწრების შესახებ. გარდა ასეთი ბარათისა, ახალგაზრდა კომუნისტებს ეძლევათ „ახალგაზრდა კომუნისტის ხამბასოვრო", რომელშიც აღნიშნულია შეკრების მოწყობის დღე და საათი ერთი წლის მანძილზე.

პარტიის რაიონული კომიტეტი ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის მიზნით ადგენს წლიურ პერსპექტიულ გეგმას. მასში გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორიც არის: პარტიის წევრობის კანდიდატთა და პარტიის ახალ წევრთა ანგარიშების მოსმენა, ლექციები საერთაშორისო ურთიერთობაზე, საუბრები სკკპ წესდებისა და პროგრამის ცალკეულ საკითხებზე, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, ომის ვეტერანებთან, ჩვენი არმიის წარმომადგენლებთან, საბჭოთა კავშირის გმირებთან და სოციალისტური შრომის გმირებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, აგრეთვე სხვა სახის საინტერესო ღონისძიებები.

„საკანდიდატო სტაჟის გავლის ბარათი" დაიბურება მას შემდეგ, როცა კანდიდატს გაუვა დადგენილი ვადა და დაწერს განცხადებას სკკპ რიგებში წევრად მიღების შესახებ. ბარათში ჩანაწერების სისწორეს ამოწმებს და ხელს აწერს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, აღნიშნულ ბარათს სკკპ წევრობის კანდიდატი უდგენს რაიკომთან არსებულ სკკპ რიგებში მიღების კომისიას, მისი პარტიაში მიღების საკითხის გადაწყვეტის დროს.

როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა მუშაობის ასეთი ფორმა მხარდაჭერის, ყურადღებისა და გავრცელების ღირსია. იგი ხელს უწყობს არა მარტო პარტიული მოვალეობის შესრულების ჩვევების ჩამოყალიბებას, არამედ მათი სამსახურებრივი მოვალეობის კარგად შესრულებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრეს ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა, ამ საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ნაკლოვანებებს. გასულ წელს პარტიის რაიონულმა, საქალაქო კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა სახის დარღვევებისა და დანაშაულის ჩადენისათვის გარიცხეს 15 და სკკპ რიგებიდან გასულად ჩათვალეს პარტიის წევრობის 28 კანდიდატი. სამწუხაროდ, მან მხრივ ჯერ კიდევ აქვს ადგილი ისეთ ფაქტებს, როგორიც არის პარტიული დისციპლინის დარღვევა, ამორალური ქცევა, ლოთობა, ხულიგნობა, პარტიული დოკუმენტების მოვლა-პატრონობისადმი უყურადღებობა და სხვ.

პარტიის რაიონულმა, საქალაქო კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა გაბედულად უნდა გამოიყენონ ახალგაზრდა კომუნისტთა აღზრდის ყველა საშუალებანი. შუდამ გვახსოვდეს, რომ „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძალაა მისი წევრების მაღალი იდეურობა, აქტიურობა, თავდადება, პარტია ვერ შეურიგდება პასიურობას, გულგრილობას, აპოლიტიკურობას" — ასეთია პარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნა.

ალ. აბაშიძე,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე.

„ჩირაღდანის" პირველი ნაბიჯები

სოფლის ინტელიგენციის კარგი თაოსნობა

მეორე სვირი ყველაზე დიდი და მძლავრი სოფელია ზესტაფონის რაიონში. აქ შვიდი ათასამდე მცხოვრებია. მათი სიამაყე და სიმდიდრე წყაროა ბაღ-ვენახები. მეორე სვირში ახლა 160-მდე ინტელიგენტია. ეს მაშინ, როდესაც რევოლუციამდე წერა-კითხვის მცოდნე საძებარი იყო. 156 ადამიანი უმაღლესი განათლებით, ასობით საშუალო სკოლის კურსდამთავრებული — რომელ სოფელს არ დაამშვენებდა! სოფელში მოღვაწეობენ მასწავლებლები და აგრონომები, ექიმები და ზოოტექნიკოსები. ეკონომისტები და ბუღალტრები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები.

სვირელი ინტელიგენტები წარმატებით ასრულებენ ძირითად სამუშაოს. ეწევიან აქტიურ იდეოლოგიურ-პოლიტიკურ და მასობრივ კულტურულ მუშაობას. აქაური აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, პროპაგანდისტები, ლექტორები თუ მომხსენებლები მშრომელებს ზრდიან კომუნისტური სულისკვეთებით, მათ შთაგონებენ პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის კეთილშობილურ იდეებს. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელ ერთ წელს სვირის მშრომელებთან გაიმართა ხუთი ათასზე მეტი საუბარი და პოლიტინფორმაცია, საიდანაც სამი ათასზე მეტი მიეძღვნა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს.

სოფლის ტერიტორიულმა პარტიულმა ორგანიზაციამ და იტელიგენციამ ამას წინათ კარგი თაოსნობა გამოიჩინეს. სოფლის ინტელიგენციის შეკრებაზე შეიქმნა ინტელიგენციის კლუბი „ჩირაღდანი", სადაც გაერთიანდნენ მეორე სვირის კოლმეურნეობებში, სკოლებში, სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე ინტელიგენტები. კლუბის სახელოდნა სიმბოლურია. მისი საქმიანობა ცოდნის ნამდვილი ჩირაღდანი უნდა იყოს ადამიანებთან, წარმოებასთან, აქტიურად მონაწილეობდეს მშრომელთა აღზრდაში, ეკონომიურ სწავლებაში, შრომის კომუნისტური მეთოდების დანერგვაში, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებაში, სოფლად სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამკვიდრებაში.

„ჩირაღდანს" უძღვება თეონმეტი კაცისაგან შემდგარი გამგეობა, რომელსაც თავმჯდომარეობს I საშუალო სკოლის დირექტორი დ. მერკვილაძე. გამგეობაში არიან აგრონომები და მასწავლებლები, ექიმი და ეკონომისტი. ინტელიგენციის კლუბთან მოქმედებენ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის, ეკონომიური ცოდნის პროპაგანდისა, ახალგაზრდობასთან მუშაობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სექციები.

კლუბის გამგეობამ და სექციებმა შეიმუშავეს კონკრეტული სამუშაო გეგმები, უკვე გადადგეს პირველი ნაბიჯები.

10 მარტს გაიმართა სოფლის ინტელიგენციის შეკრება. შინაარსიანი მოხსენებით თქმული — „ინტელიგენციის ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების საქმეში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით — გამოვიდა „ჩირაღდანის" გამგეობის თავმჯდომარე დ. მერკვილაძე. შეკრებამ მოისმინა აგრეთვე აგიტკოლექტივთა ხელმძღვანელების შ. კოსრეიძისა და ალ. ბოჭორიშვილის ინფორმაციები საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით საგიტაციო-მასობრივი მუშაობის დაყენების თაობაზე.

კლუბის თაოსნობით მოეწყო მშრომელთა შეხვედრა გამორჩენილ ექვენახეებთან — სოციალისტური შრომის გმირებთან გ. თუთარაშვილსა და ე. ხიდაშელთან, ლენინის ორდენოსნებთან გ. ბრეგვაძესა და გ. ფუტკარაძესთან. ახლო ხანში სოფლის მშრომელები გულთბილ შეხვედრას უწყობენ თანასოფლელებს— თადარიგის ავიაციის პოლკოვნიკს აკ. გამრეკელაშვილს და სახელგანძღოლ ხპორტსმენს კობა წაქაძეს.

მუშადგინა სოფლის ახალგაზრდობის შეკრება თემაზე — „ცხოვრებაში ყოველთვის არის ადგილი მამაცობისათვის". მოსწავლეთა მშობლების შეკრება ეძღვნება თემას — „ოჯახი და თანამედროვეობის ძირითადი პრობლემები", მოსსენებას წაიკითხავს მასწავლებელი პ. ხიდაშელი.

ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კლუბი მართავს ჯითხვა-პასუხის საღამოს მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე. საღამოზე იწვევენ რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს.

კლუბის წევრები — აგრონომები პ. წაქაძე, გ. თუთარაშვილი, ვეტექიმი ა. ქათამაძე დაინტერესებული არიან მიეხიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვით. ისინი საფუძვლიანად გაეცნენ საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტის აჯამეთის საცდელი სადგურის გამოცდილებას შუალეური საკვები კულტურების სიკეთეზე. მათი წინადადებითა და მონაწილეობით ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში რვა ჰექტარზე დათესა ტერნეფსი და რაფსი, რითაც კოლმეურნეობამ მიიღო 1.600 ცენტნერი საკვები. კლუბის წევრი სპეციალისტების წინადადებით ვენახებში ინერგება სამუშაოთა მექანიზაცია, მეცნიერების მიღწევები, რაც ზრდის ყურძნის მოსავლიანობას, ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

სოფლის ინტელიგენტები შრომასა და ყოფაცხოვრებაში პირად მაგალითს აძლევენ მშრომელებს, ახალგაზრდებს. ნ. ხიდაშელი, დ. კვეტენაძე, ვაჟა და გიორგი ხიჯაკაძეები არა მარტო კარგი მასწავლებლები და აგიტატორები არიან, საკოლმეურნეო შრომაშიც აქტიურად მონაწილეობენ, ყურძნის მაღალი მოსავალი მოპაყავთ. ახეგე ითქმის მასწავლებელ-პროპაგანდისტებზე ი. წაქაძისა და ა. ...ბაძეზე. სკოლის მასწავლებლებთან უანყოლო შრომით აიგო საგენიმო ამბულატორია, კაპიტალურად შეკეთდა პურის საცხობი, ერთ კილომეტრზე მოეწყო ქუჩის განათება. მათივე მონაწილეობით დაიგო 7.500 ძირი აკაცია და კიდევ გაშენდება 3.000 ძირი მცენარე. აქვე გაშენდება შინმოუხვეულთა ხეივანი, სადაც დიდგმება ობელისკი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით ინტელიგენციის კლუბმა გააძლიერა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ეწყობა საუბრები ხალხთა ლენინურ მეგობრობასა და ინტერნაციონალიზმის დიდ ძალაზე.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გ. ხიჯაკაძე სამამულო ომის დროს უკრაინაში იბრძოდა. მან შვიდი საბრძოლო ორდენი და მედალი დაიმსახურა. მას მეგობრობას ძაფები აკავშირებს ჭოტკავის ოლქის ზიმკოვის რაიონის სოფლების ლიუტენკო-ბუფუშჩასა და ვლასოვკას მშრომელებთან. იქაური ფრონტელი მეგობრის ალ. ემეცის შვილი — მასწავლებელი მისეული და ვლასოვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლ. ბლიაშკო ხშირად ჩამოდიან სვირში გ. ხიჯაკაძესთან. გულუხვი მასპინძელიც ბევრჯერ ყოფილა უკრაინელ მეგობრებთან. მათ შორის გამართულია გულითადი მიმოწერა, ამანათების გაცვლა. ინტელიგენციის კლუბის გამგეობას განზრახული აქვს, რომ უკრაინელი მეგობრები მოიწვიოს ინტერნაციონალურ საღამოზე.

ბევრი შეიძლება ითქვას „ჩირაღდანის" პირველ ნაბიჯებზე. ეს არის დიდი საქმიანობის დასაწყისი. წინ არის მრავალფეროვანი, შინაარსიანი, საინტერესო სამუშაო. „ჩირაღდანი" მშრომელთა კეთილი მეგობარი და მრჩეველი, ადამიანთა აღზრდის შტაბი იქნება.

პ. ჭიოკაძე.
„კომუნისტის" საკ. კორ.

სიმბოლური უპრემენტაროდ

[illegible] ... ფაბრიკის ... ფილიალში. კომკავშირული ორგანიზაციაში ეს ოცდაათ [illegible] ... ეწევა. ... ქალია ... ბრიგადა არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ნაყოფიერად შრომობენ. მაგრამ ახალგაზრდებს წვიმელი კუთხე არა გვაქვს, საერთო საცხოვრებელი რადიოფიცირებული არ არის.

ვ. თავზართაძილაძე.

● **გალი.** ლენინის ქუჩის მცხოვრებლები ორ წელზე მეტია სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ქუჩა ორი კილომეტრის მანძილზე ავარიულ მდგომარეობაშია, წუმპეები დგას, ფეხით მოსიარულეს აქ ზამთარში კი არა, ზაფხულშიც უჭირს სიარული...

დ. ჩაკაბერია.

● **ზუგდიდი.** მდინარე ჩხოუშის სანაპიროები უყურადღებობის გამო რამდენიმე ხანია ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. სანაპიროს მახლობლად მცხოვრებნი მდინარეში ყრიან ძველ ღუმელებს, საწოლებს, კონსერვის ყუთებსა და სხვა ნარეცხებს. ამას ემატება სანაპიროზე ზვინებად დაყრილი ნაგავი.

ბ. ალუბიანია.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა" № 4

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ **„საქართველოს სოფლის მეურნეობის"** მესამე, მეოთხე ნომერი.

ავტომშენებელთა

ვინ არის დამნაშავე?

ასაკუშაკვებელ ობიექტებზე

ოცა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ულიანოვკის მახლობლად მეფრინველეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფაბრიკას ეყრებოდა სიფუძველი, ადგილობრივი მცხოვრებნი და ზოგიერთი ამ საქმის მესვეური ფიქრობდა, ნუთუ შეიძლებოდა ასეთი გიგანტი ფერმის მშენებლობა შეჩერებულ ვადებში? 25.000 კვერცხმდებელი ქათმის, ასი ტონა ფრინველის ხორცისა და ხუთი მილიონამდე კვერცხის წარმოება წელიწადში — ეს ხომ რაიონის კოლმეურნეობათა თითქმის მთლიან დაავალებას უდრის! არც რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს კოლექტივი, რომელსაც ეს მშენებლობა დაევალა, იყო დარწმუნებული თავის ძალებში. მეფრინველეობის ფაბრიკის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება — 1.629.000 მანეთი — თითქმის ერთიოროად აღემატებოდა მათს წლიურ სამუშაოთა მოცულობას...

ეს იყო ოთხი წლის წინათ. ახლა ეს ეჭვები გაიფანტა.

უნდა ითქვას, რომ საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭომ (თავმჯდომარე ა. ცინცაძე) თავდადგე გაბედულად მოჰკიდა ხელი მშენებლობას. ანდა რა იყო გასაბედავი. ყოველ გეგმას, თუნდაც მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში თან ახლავს თვისი რეალური საფუძვლები — ეს იქნება დაფინანსების, ტექნიკის, სამშენებლო მასალებისა თუ მუშახელის სახით. ასე იყო აქაც. თუმცა ფაბრიკის კომპლექსის მშენებლობა რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს კოლექტივს დაევალა, მაგრამ მათ ქვემოიჯარადრეებად გათვალისწინებულ იქნენ ისეთი ორგანიზაციები, როგორიც არის „საკოლმშენი" რესპუბლიკური გაერთიანების სპეცსამუშაოთა ორგანიზაციის საბჭო და „საქსოფლტექნიკის" ლაგოდეხის რაიონული განყოფილება. მათ სამშენებლო სამუშაოთა პარალელურად დაეკისრათ ტექნოლოგიური დანადგარების, სანტექნიკისა და ელექტროტექნიკის სამონტაჟო და მათი გამართვა-გაშვების სამუშაოთა.

მშენებლობა განსაკუთრებით კარგად წარიმართა დაწყებიდან მეორე — 1969 წელს. რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროებს ხელმძღვანელებს შემდგომ წლებში არაერთი ღონისძიების განხორციელება დასჭირდათ, რომ მშენებლობა კალაპოტში ჩაეყენებინთ, მაგრამ ეს ყოველთვის როდი ხერხდებოდა. საკმარისია ითქვას, რომ „საკოლმშენის" რესპუბლიკური გაერთიანების სპეცსამუშაოთა ორგანიზაციის საბჭო და „საქსოფლტექნიკის" ლაგოდეხის რაიონული განყოფილება. მათ სამშენებლო სამუშაოთა პარალელურად დაეკისრათ ტექნოლოგიური დანადგარების, სანტექნიკისა და ელექტროტექნიკის სამონტაჟო და მათი გამართვა-გაშვების სამუშაოთა.

მშენებლობა განსაკუთრებით კარგად წარიმართა ფაბრიკის ... ფილიალში. კომკავშირული ორგანიზაციაში ეს ოცდაათ [illegible] ... ეწევა. ... ქალია ... ბრიგადა არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, ნაყოფიერად შრომობენ. მაგრამ ახალგაზრდებს წვიმელი კუთხე არა გვაქვს, საერთო საცხოვრებელი რადიოფიცირებული არ არის.

ვ. თავზართაძილაძე.

● **გალი.** ლენინის ქუჩის მცხოვრებლები ორ წელზე მეტია სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ქუჩა ორი კილომეტრის მანძილზე ავარიულ მდგომარეობაშია, წუმპეები დგას, ფეხით მოსიარულეს აქ ზამთარში კი არა, ზაფხულშიც უჭირს სიარული...

დ. ჩაკაბერია.

● **ზუგდიდი.** მდინარე ჩხოუშის სანაპიროები უყურადღებობის გამო რამდენიმე ხანია ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. სანაპიროს მახლობლად მცხოვრებნი მდინარეში ყრიან ძველ ღუმელებს, საწოლებს, კონსერვის ყუთებსა და სხვა ნარეცხებს. ამას ემატება სანაპიროზე ზვინებად დაყრილი ნაგავი.

ბ. ალუბიანია.

ბაღალი ჯილდო

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს ორგანიზაციამ გაიმარჯვა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში

□

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა, სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამეს თავდაცვითი საზოგადოებების ორგანიზაციების 1971 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და დააჯილდოვეს გამარჯვებულნი, რომლებმაც საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს შრომელთა შორის მასობრივი სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის დაყენებაში.

გამარჯვებულთა შორისაა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური ორგანიზაცია. მას მეეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო აღკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი ვიმპელი, მეორე ფულადი პრემია და სასწავლო და სპორტული ქონების კომპლექტი.

(საქინფორმი).

ხელოვნება

„საქართველოს სოფლის მეურნეობა"

„ბალერინა"

„ბალერინა"

„ბალერინ

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

ბაღდადი

11 აპრილი. (საკდესი). ინფორმაციის მინისტრმა შაფიკ ალ-ქამალიმ საბჭოთა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

ერაყის ხალხი სიმპათიისა და მეგობრობის უაღრესად ღრმა და გულწრფელი გრძნობებით არის გამსჭვალული საბჭოთა კავშირისადმი, რომელიც მუდამ გამოდიოდა და გამოდის არაბ ხალხთა მხარეზე მათ სამართლიან ბრძოლაში ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის, სოციალური და ეკონომიური პროგრესისათვის.

ჩვენ განსაკუთრებით მადლობელი ვართ საბჭოთა კავშირისა დახმარებისათვის, რომელიც მან ერაყს გაუწია ნავთობის ეროვნული მრეწველობის შექმნის საქმეში. ნავთობსახერეწები ჩრდილოეთ რუმეილაში — ეს არის ჩვენი მეგობრობის სიმბოლო. მათი გახსნა დიდი გამარჯვებაა ერაყის ბრძოლაში უცხოეთის მონოპოლისტური ნავთობის კომპანიების წინააღმდეგ.

ბაღდადში დადებული ერაყისა და სსრ კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, თქვა შაფიკ ალ-ქამალიმ, მოწმობს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განმტკიცებას. იგი ჩვენი მეგობრული ურთიერთობის განვითარებისა და ჩვენი ხალხების ურთიერთნდობის განმტკიცების ბუნებრივი შედეგია. ხელშეკრულება მოწმობს, თუ რაოდენ ღრმა და ყოველმხრივი ხასიათი აქვს ერაყსაბჭოთა კავშირის ურთიერთობას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელშეკრულება ჩვენი მეგობრობის დიდი გამარჯვებაა, ხაზი გაუსვა მინისტრმა, მთელი იმ ძალების გამარჯვებაა, რომლებიც იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ იბრძვიან.

11 აპრილი. (საკდესი). ხელშეკრულების ტექსტი ერაყის გაზეთების პირველ გვერდზე ქვეყნდება სათაურებით: „ერაყ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტორი“, „ხელშეკრულებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება არაბი ხალხის სამართლიან ბრძოლაში იმპერიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ“.

„ხელშეკრულების დადება,— წერს გაზეთი „ალ-ჯუმჰურია“, უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენაა არა მარტო ერაყის ხალხის ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე ყველა არაბი და სხვა ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაში“.

გაზეთი ხაზს უსვამს ორივე ქვეყნის ხალხთა მისწრაფებას გადააქციონ ხელშეკრულება ეფექტიან ინსტრუმენტად, რომელიც წარმართავს და აერთიანებს ერაყისა და საბჭოთა კავშირის საქმიანობასა და ღონისძიებებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალების ანტიიმპერიალისტურ საფუძველზე შეკავშირებისათვის ბრძოლაში.

ხელი მოაწერეს კონვენციას

ვაშინგტონი. 10 აპრილი. (საკდესი). დღეს ვაშინგტონში გაიმართა ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსინიანი იარაღის შემუშავების, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვის და ამ იარაღის მოსპობის შესახებ კონვენციის ხელმოწერა.

პირველებმა კონვენციას ხელი მოაწერეს დეპოზიტარი ქვეყნების წარმომადგენლებმა: ამერიკის შეერთებული შტატების ხელით — ხელმწიფო მდივანმა უ. როჯერსმა, საბჭოთა კავშირის ხელით — სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინმა, დიდი ბრიტანეთის ხელით — დიდი ბრიტანეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ლორდმა კორომერმა, კონვენციას აგრეთვე ხელი მოაწერეს მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა.

ხელმოწერის ცერემონიაზე ამერიკის მხრივ იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი და სხვა ოფიციალური პირები.

ლონდონი. 10 აპრილი. (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა დუგლას-ჰიუმმა, სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში მ. ნ. სმირნოვსკიმ და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა დიდ ბრიტანეთში უ. ანენბერგმა ხელი მოაწერეს დღეს კონვენციას ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსინიანი იარაღის შემუშავების, წარმოებისა და დაგროვების აკრძალვის და ამ იარაღის მოსპობის შესახებ. ხელმოწერის ცერემონიაზე იყო ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჰიტი.

კონვენციას ხელი მოაწერეს კიდევ 47 ქვეყნის დიპლომატიურ მისიათა მეთაურებმა.

ნიუ-იორკი — გმოუბინ პროვოკაციას

11 აპრილი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადგილსამყოფელ ქვეყანასთან — შეერთებულ შტატებთან კავშირურთიერთობის კომიტეტი კვლავ იძულებული გახდა განიხილოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მისიათა და მათ თანამშრომელთა უშიშროების უზრუნველყოფის საკითხები.

უცხოელი დიპლომატები და მათი ოჯახების წევრები უწინდებურად განიცდიან თავდასხმებს მტრულ ელემენტთა მხრივ, პოლიციის პროვოკაციების მსხვერპლნი ხდებიან.

კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკი, რომელმაც მოითხოვა, რომ ამერიკის ხელისუფლებამ საბოლოოდ განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ საბჭოთა მოქალაქეების უშიშროება და შეუქმნან მათ მუშაობის ნორმალური პირობები.

ეგრეთ წოდებული „ებრაელთა დაცვის ლიგის“ მოფაშისტო წევრთა ახალი პროვოკაციული გამოხდომებისა და ძალადობის მუქარების შესახებ ილაპარაკა სირიის არაბთა რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჟ. ტომამ. მან მოითხოვა იურიდიული ღონისძიებების განხორციელება ლიგის წინააღმდეგ.

კომიტეტის წევრებმა მოისმინეს ინფორმაციები იმის შესახებ, რომ არ წყდება პროვოკაციები კუბის მისიის მიმართ, რომ ცეცხლი გაუხსნეს მისიის კუთვნილ ავტომანქანებს. ბულგარეთის წარმომადგენელმა ე. გაერილოვამ მოიყვანა ახალი მაგალითი, რომ ხულიგნები შეიჭრნენ დარბაზში, სადაც უნვენებდნენ კუბურ ფილმებს. იმ დროს დარბაზის შესასვლელთან მყოფმა პოლიციელებმა საჭიროდაც კი არ ცხეს ჩარეულიყვნენ საქმეში და შეეწყვეტათ პროვოკაცია.

ნიუ-იორკში შექმნილ შეუწყნარებელ არანორმალურ ვითარებაზე ილაპარაკეს ერაყის წარმომადგენელმა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა. სხდომის დასასრულს დელეგატებმა შეიტყვეს, რომ ეს-ეს არის ნიუ-იორკის ცენტრში თავს დაესხნენ საფრანგეთის მისიის წარმომადგენელს პიერ ოგიერს. რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. როგორც განაცხადა საფრანგეთის წარმომადგენელმა, საფრანგეთის მისიის წევრებს ძალის გამოყენებით უკვე ექვსჯერ დაესხნენ თავს ეჭვასაჯელ წელიწად-ნახევარში.

აღშფოთება გამოიწვია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენლის დ. ბუშის გამოსვლამ, რომელმაც სირიის წარმომადგენლის იმ მოთხოვნის პასუხად, რომ „ანაზორიელონ ღონისძიებანი „ებრაელთა დაცვის ლიგის“ მიმართ, ვინაცხადა, სისხლის სამართლის კოდექსის დარღვევან ვერ ვხედავო.

ჟენევა — კოსმოსის მშვიდობიანი კვლევის პროგლემები

11 აპრილი. (საკდესი). გაეხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტის იურიდიული ქვეკომიტეტის მე-11 სესია.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ 28 ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, მონგოლეთის, ბელგიისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები.

ქვეკომიტეტის დღის წესრიგშია ფართო წრე საკითხებისა, რომლებიც ეხება კოსმოსური სივრცის მშვიდობიან გამოყენებას.

თავის გამოსვლაში სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. პირადოვი შეეხო კაცობრიობის შესანიშნავ მიღწევებს მთვარის კვლევის დარგში. მან ხაზი გაუსვა, რომ ექსპერიმენტები, რომლებიც ხორციელდება „ლუნოხოდ-1“ აპარატისა და სხვა ავტომატურ მოწყობილობათა დახმარებით, მთვარის ათვისების ახალ პერსპექტივებს უსახავენ კაცობრიობას.

სსრ კავშირის დელეგაციის სახელით ა. ს. პირადოვმა ქვეკომიტეტის განსახილველად შეიტანა საბჭოთა პროექტი ხელშეკრულებისა მთვარის შესახებ. ეს დოკუმენტი მოუწოდებს, კერძოდ, აიკრძალოს მთვარეზე ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის განლაგება, აგრეთვე ყოველგვარი საქმიანობა მთვარის სამხედრო მიზნებით გამოსაყენებლად.

ტოკიო

ხალხის ზურგს უკან

11 აპრილი. (საკდესი). იაპონიის საზოგადოებრიობამ შეიტყო ოკინავის დაბრუნების შესახებ იაპონია-ამერიკის შეთანხმებასთან დაკავშირებული ახალი ფაქტები.

როგორც ცნობილია, ეს შეთანხმება ძალაში უნდა შევიდეს მიმდინარე წლის 15 მაისს. გამოირკვა, რომ შარშან, შეთანხმების ხელმოწერის დროს, იაპონიის მთავრობა საიდუმლოდ გაურიგდა ამერიკის შეერთებულ შტატებს და დათანხმდა თვითონვე დაეუარა იმ ხარჯების ნაწილი, რომლებიც დაკავშირებულია ოკინავაში ამერიკის სამხედრო ბაზების შენახვით მიყენებულ ზარალთან.

ჯერ იაპონიის მთავრობის წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფდნენ, რომ ამ საკითხზე არსებობს რაიმე საიდუმლო შეთანხმება, მაგრამ ისინი ჩიხში მოემწყვდნენ, როცა საზოგადოებრიობისა და პრესის კუთვნილება გახდა დოკუმენტები, რომლებიც უეჭველს ხდიდნენ, რომ მთავრობა ხალხის ზურგს უკან დათანხმდა დაეხარჯა იაპონელ გადასახადის გადამხდელთა რამდენიმე მილიონი დოლარი იმისათვის, რისთვისაც ამერიკის შეერთებული შტატების არმიას უნდა გადაეხადა.

ვაშინგტონი

დისკრიმინაციული სისტემა

11 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული არჩევნების სისტემის გამო შეუძლებელი ხდება მილიონობით ამერიკელის მონაწილეობა არჩევნებში.

ასეთი დასკვნა გამოიტანეს სპეციალურ მოხსენებაში „ამომრჩეველ ქალთა განათლების ფონდის ლიგის“ წევრებმა, რომლებმაც შეისწავლეს შეერთებული შტატების 251 ქალაქში არჩევნების ჩატარების მეთოდები.

როგორც ცნობილია, ამერიკის მეტწილ შტატებში დაწესებულია მრავალრიცხოვანი დისკრიმინაციული ცენზები — ქონებრივი, განათლების, ბინადრობისა და სხვა ცენზები, რომლებიც არსებითად აბრკოლებენ მოქალაქეთა მონაწილეობას არჩევნებში.

მოხსენების ავტორები ადასტურებენ, რომ ეს ცენზები, აგრეთვე სხვა დაბრკოლებანი „ლაბირინთები“ სინამდვილეში ხელს უშლიან ამერიკელთა მასებს ისარგებლონ მათთვის ქვეყნის კონსტიტუციის მიერ ფორმალურად მინიჭებული ხმის უფლებით.

მოხსენებაში ნათქვამია, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება განსაკუთრებთ უძნელდებათ, ზოგჯერ კი არ შეუძლიათ ღარიბთა კვარტალებისა და გეტოების ბინადართ.

ფაქტები

● **ერაყში დაიწყო მუშაობა,** რომელიც მდინარე ეფრატს დააკავშირებს ტარტარის ტბასთან, რომელიც უკვე დაკავშირებულია მდინარე ტიგროსთან. არხი შენდება საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური დახმარებით, იგი ერაყის ორი უდიდესი მდინარის წყლის რესურსების რეგულირების სისტემის შემადგენელი ნაწილი გახდება.

● **ინდოეთის პარლამენტის** ზედა პალატამ მოიწონა კანონ-პროექტი, რომელიც მთავრობის კონტროლს აწესებს ინდოეთის სპილენძის მადნის კორპორაციისადმი. პარლამენტში გამოსვლისას ფოლადისა და შახტის მინისტრმა მოშან კუმარამანგალამმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ კანონპროექტის განხორციელება მკვეთრად აამაღლებს ქვეყანაში სპილენძის წარმოებას.

● **ამერიკის კონგრესში** მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის განზრახვას, რომ გაადიდოს ასიგნებანი ახალი წყალქვეშა ნავებისა და წყალქვეშა რაკეტების შემუშავებისა და შექმნისათვის. კონგრესმენთა დიდმა ჯგუფმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდებს მთავრობას უარი თქვას წყალქვეშა რაკეტული სისტემის შექმნის გეგმებზე.

● **ოლსტერში მოხდა** ინგლისელი ჯარისკაცებისა და ადგილობრივი მცხოვრებლების ახალი შეტაკებანი. ბელფასტის კათოლიკურ უბნებში დაიჭრა რამდენიმე კაცი. ლონდონდერში ბომბის აფეთქების შედეგად მოკვდა ინგლისელი ჯარისკაცი და დაიჭრა 10-მდე ირლანდიელი. ჯარისკაცები და „უშიშროების ძალები“ საყოველთაო ჩხრეკას ეწეოდნენ კათოლიკურ გეტოებში. რამდენიმე კაცი დაპატიმრებულია.

● **განათლებისა და კულტურის** სამინისტროს მონაცემების თანახმად ინდონეზიაში შენობების უკმარობის გამო სასწავლო ოთახებში ერთ-ერთ მეცადინეობაზე ერთ-ერთ ბავშვს ერთ-ერთ ბავშვს ერთ-ერთ ბავშვს ... [illegible]



... ფრონტზე უტევენ

ვაშინგტონი. 11 აპრილი. (საკდესი). „ვიეტნამშიაა“ პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც შეერთებული შტატები ანორგიელებს საჰაერო ომის ესკალაციას იმდროინდოეთის ქვეყნებში, გეზოციდის პოლიტიკას. ჰაერის მეომარი ბომბავენ ტერიტორიებს, თავსენ სიკვდილსა და ნგრევას.

ცნობილი მიმოხილველი ჯეკ ანდერსონი გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში ლაოსის დაბომბვის მაგალითით ამხილებს ამ პოლიტიკის არსს.

ანდერსონს ამერიკის პრესაში მოკავაზ იმის დამამტკიცებელი ფაქტები, რომ ამერიკის ბომბდამშენი გამანადგურებლები სისტემატურად თავს ესხმიან ლაოსის სოფლებს და ხოცავენ უმეტეს მშვიდობიან მცხოვრებლებს“.

ანდერსონი წერს, რომ მან საკუთარი თვალით ნახა სამხედრო ცნობები რამდენიმე სოფლის დაბომბვის შესახებ. „ეს იყო მდინარის პირას მდებარე სოფელი. ისინი მოსპეს“. როცა თანამდებობის პირნი ბრძანებებს იძლეოდნენ ამ სოფლების განადგურების შესახებ, წერს ჟურნალისტი, მათ შესანიშნავად იცოდნენ, თუ რას სჩადიოდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ყოფილმა სერჟანტმა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში' მსახურობდა, უთხრა ჟურნალისტს, რომ მარტო მან იცოდა ლაოსის 100-ზე მეტი სოფლის დაბომბვის შესახებ. ეს ოპერაციები ხორციელდებოდა კოდური სახელწოდებებით „ბარელ როლი“ და „სტილ ტაიგერი“.

ამერიკის ბომბდამშენების კაბინებში მსხდომი აგრესორები დაუნდობელნი იყვნენ. ანდერსონი იუწყება ერთი ჰოსპიტლის განადგურების შესახებ. თავდასხმისელად ამ ჰოსპიტლის წინააღმდეგ გამოიყენეს რაკეტები, შემდეგ ბომბები. ჟურნალისტი გვიყვება, თუ როგორ დაინახეს პილოტებმა, რომ „ერთი კაცი შეეცადა გაქცეულიყო“ ხურნის ხეობაში სოფლიზე თავდასხმის შემდეგ. თვითმფრინავმა მას თავზე ... [illegible]

ეს ბომბები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი რაკეტები, აგრესორებმა დაუშინეს ნეკანის, პატინის, კუანგბინისა და ვინლინის ზონის პროვინციების დასახლებულ რაიონებს. ამერიკის ხამხედრო ზომალდები მარტში სისტემატურად ცვლიდნენ ვინლინის ზონას. ამ მოქმედების შედეგად 50 მცხოვრები დაიხოცა და 100-ზე მეტი კაცი დაიჭრა, დანგრეულია ბევრი საცხოვრებელი სახლი.

ნიუ-იორკი. 11 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოვდება გამოსვლები ვიეტნამში დანაშაულებრივი ომის ახალი ესკალაციის წინააღმდეგ.

ომისწინააღმდეგო საპროტესტო მიტინგი გაიმართა სან-ფრანცისკოში. სსვა ორატორებს შორის მიტინგზე გამოვიდა ენტონი რუსო, რომელსაც დენიელ ელსბერგთან ერთად დეკემბერ პენტაგონის იმ საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნებაში „მონაწილეობასთან“ დაკავშირებით, რომლებიც ამხილებენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ კურსს ვიეტნამში.

ვიეტნამში დანაშაულებრივი ომის ესკალაციის წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ნიუ-იორკის შტატის ქალაქ პოკიპსში კომპანია „ინტერნეშნლ ბიზნეს მეშინის“ ქარხანასთან.

ელი. 11 აპრილი. (საკდესი). შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამში სამხედრო მოქმედების ესკალაცია ინდოეთის მთავრობის სერიოზულ შეშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს“, — განაცხადა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სვარან სინჯამ ცენტრალური პარლამენტის ქვედა სახლოსო პალატაში გამოსვლისას.

მინისტრმა კვლავ გაიმეორა ინდოეთის მთავრობის დაბეჯითებითი მოწოდება „ბოლო მოეღოს ამერიკის მიერ ვიეტნამის დაბომბვას, გაყვანილ იქნას უცხოეთის მთელი ჯარები მისი მიწა-წყლიდან, რათა ვიეტნამელ ხალხს საშუალება მიეცეს თვითონ გადაჭრას საკუთარი ბედი“.

* * *

სურათზე: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. თავდაცვის მოხალისე საზენიტო რაზმი ჩამოაყალიბეს თხანხოას პროვინციის სიერხი ქარხნის მუშებმა. პატრიოტები ფხიზლად იცავენ თავიანთ მიწა-წყალს.

ფოტო ეპა-საკდესისა.

... ბომბებს

ვაშინგტონი. 11 აპრილი. (საკდესი). ამერიკელ ჟურნალისტ ჯონ ბოლეს ინგლისის სპეციალურ სამსახურთა და დიპლომატთა პროვოკაციული მოქმედების გამო ზოგიერთი საბჭოთა მოქალაქის მიმართ, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობენ.

ელჩმა თქვა, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ განცხადებას გადასცემს თავის მთავრობას.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

10 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მკაცრი პროტესტი განუცხადა დიდი ბრიტანეთის ელჩს სსრ კავშირში ჯონ ბოლეს ინგლისის სპეციალურ სამსახურთა და დიპლომატთა პროვოკაციული მოქმედების გამო ზოგიერთი საბჭოთა მოქალაქის მიმართ, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობენ.

ელჩმა თქვა, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ განცხადებას გადასცემს თავის მთავრობას.

ლიტერატურთა შეხვედრა ვენეციაში

ვენეციი. 11 აპრილი. (საკდესი). ა. ა. ზორჩიოს კუნძულზე გაიხსნა ლიტერატურთა საერთაშორისო შეხვედრა. იგი ეძღვნება დიდი რუსი მწერლის თ. დოსტოევსკის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

შეხვედრაზე შეიკრიბნენ იტალიის, სსრ კავშირის, პოლონეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები და მთარგმნელები. საბჭოთა დელეგაციაში შედიან მწერალი კ. სიმონოვი, ლიტერატურათმცოდნე აკადემიკოსი მ. ალექსეევი, კრიტიკოსი ბ. სუჩკოვი.

ლიტერატურთა შეხვედრა მოაწყვეს ვენეციის ჯ. ჩინის კულტურულმა ფონდმა, სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა და იტალიის სლავისტთა ასოციაციამ. წაიკითხავენ ოც მოხსენებას თ. დოსტოევსკის შემოქმედების, მსოფლიოს ბევრი ხალხის ლიტერატურაზე მისი გავლენის შესახებ.

შეხვედრის მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს გუშინ საბჭოთა მწერლის ვ. შკლოვსკის გამოსვლა „დოსტოევსკი და ევროპის კულტურა“ და იტალიელი კრიტიკოსის ე. დე მიქელისის მოხსენება „დოსტოევსკი იტალიურ ლიტერატურაში“.

ლიტერატურთა საერთაშორისო შეხვედრამ ვენეციაში იტალიის კულტურის მოღვაწეთა დიდი ინტერესი გამოიწვია, რომელიც მოწმობს იტალიელი და საბჭოთა ხალხების ურთიერთობის გაფართოებასა და განმტკიცებას.

... ოკინავა

ტოკიო. 11 აპრილი. (საკდესი). ოკინავის დაბრუნებასთან დაკავშირებულ ... [illegible]

... ბრეზნევ

ნიუ-იორკი. 11 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ე. ეგოროვი გვატყობინებს:

ჩარლი ჩაპლინის ტრიუმფი გახდა კინოხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებთათვის დაწესებული პრემიების — ეგრეთწოდებული „ოსკარის“ პრემიების — მინიჭების ყოველწლიური ცერემონია, რომელიც წლიულს გაიმართა ჭალაქ ლოს-ანჯელესის საკონცერტო დარბაზში.

დარბაზი, რომელშიც იმყოფებოდნენ ამერიკის კინოს ვარსკვლავები, მკუხარე ოვაციით შეხვდა ჩაპლინს, რომელსაც გადაეცა ამერიკის კინოხელოვნების აკადემიის სპეციალური ჯილდო კინოს დარგში უდიდესი დამსახურებისათვის. მრავალი წელიწადია ეს პრემია არ მიუკუთვნებიათ დიდი მსახიობისა და რეჟისორისათვის — ამერიკის რეაქცია დევნიდა ჩ. ჩაპლინს პროგრესული მრწამსისათვის და აიძულა იგი წასულიყო ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც 20 წელიწადს არ ყოფილა.

ჯილდო თითქოსდა დაბადების დღის საჩუქარი იყო ჩაპლინისათვის, რომელიც ექვსი დღის შემდეგ 83 წლისა გახდება.

1971 წლის საუკეთესო ფილმისათვის დაწესებული პრემია მიიღო კინოსურათმა „ფორანგული კავშირურთიერთობა“, რომელიც ასახავს ნიუ-იორკში ნარკოტიკების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას. ამ ფილმის დამდგმელმა უილიამ ფრიდკინმა მიიღო პრემია საუკეთესო რეჟისორისათვის, ხოლო ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი აგენტის მთავარი როლის შესრულებელი მსახიობი ჯონ ჰეკმანი წლის საუკეთესო კინომსახიობად ცნეს.

საუკეთესო კინომსახიობი ქალის წოდება მიეკუთვნა ჯეინ ფონდას,

ეს დამსახურებული ჰოლივუდის პროგრესული ამერიკელი მსახიობისათვის, რომელიც ცნობილია არა მარტო თავისი როლებით კინოში, არამედ იმითაც, რომ აქტიურად მონაწილეობს ვიეტნამის ომის წინააღმდეგ და ბედკრულ ამერიკელთა უფლებებისათვის ბრძოლაში.

... ბომბავენ

ეგვიპტე. 11 აპრილი. (საკდესი). ... [illegible]

გაგარინის ადოკატი

შალვა ამისულაშვილი

აპრილის თბილი დღე იყო. თბილისი ყვავილების თეთრ სამოსელში სუნთქავდა. მუზეუმიდან მოვდიოდი, მეცხრამეტე საუკუნის მხატვართა ნამუშევრები დავათვალიერე, მათ შორის რუსი ბატალისტი მხატვრის — გაგარინის ქართულ თემაზე შესრულებული რამდენიმე სურათიც. მოვდიოდი და ცაზე რეაქტიული თვითმფრინავის გრძელ ნაკვალევს დავყურებდი. იგი მარჯვედ ნასროლ ქამანდს უფრო ჰგავდა, რომლის თეთრ მარყუჟში ბრიალა მზე ქურანა კეციცვით გაბმულიყო.

უცბად ნაცნობი ხმა შემომესმა. შეტრიალდი, ჩემს წინ ჩემი სიყრმის მეგობარი, ბიძინა გოდერძიშვილი აისვეტა. ნაყვავილარ სახეზე კახეთის მზის თავისი კვალი დამეჩნია, თავთუსა ულაშებიც მზისაგან ალანძულივით მოუჩანდა. ბავშვობიდანვე შეხუმრებულებმა ერთმანეთი მოვიკითხეთ და სახაუბროდ კომუნარების ბაღში შევედით.

— რა ოფლსაღვრელი დღეა, ბიჭო! — ჩაგიბუტბუტე ჩემთვის.

— მაგას მე უნდა ვამბობდე, ჩემო ჯუმბერ, მიწასთან მე ვარ ფიცდადებული! — შემომტია ძველებურად ძველმა მეგობარმა.

— მიწასთან ფიცდადებული თუ ხარ, აქ რა გინდა ახლა?!

— ხალხი მყავს ექსკურსიაზე ჩამოყვანილი... შენ ეგ მითხარი, გაგარინზე ლექსს დაწერას თუ აპირებ?!

შეკითხვა მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის.

— არა, გენაცვალე, მე ყველა მხატვარზე ერთნაირად კი არ მიფეთდება გული...

ბიძინას ხიცილი აუტყდა. დასუბამდე მისულმა ძლივს გამოსცრა კბილებიდან:

— მე სხვა გაგარინზე მოგახსენებ! აი, კოსმოსში რომ გაფრინდა!..

ბიძინას კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ მისი სათქმელი მალე ბოძზე საგანგებოდ მიკრულმა რეპროდუქტორმა დაასრულა. მე გაფრენის ამბავიც არ ვიცოდი, ქვეყანა კი კოსმონავტის დაბრუნებას ზეიმობდა. ბიძინამ მაჯის საათს დახედა და სწრაფად წამოდგა. აბა, კარგად იყავი, ნახვამდის, ექსკურსანტები მეოთდებიან კახეთის გზაზე, აქედანაც ერთად მიედევართო...

ბოლოს მაინც თავისებურად გამკილა: მუზეუმებში ნაკლებად იარე, ორივმ ახალ-ახალ ამბებს მე აღარ შეეაკბყობინებო... მალე მეც შინისაკენ გავწევე, სახლში რომ მივედი, თან რამდენმეე სტარფიც მიმყვა ზეპირად გამოთქმული...

შეხვედრამ მქონდა, დრო ჩემს განკარგულებაში იყო, ვკითხულობდი და ვკითხულობდი დანატრეებულ წიგნებს... ერთ-ერთი წიგნის ძებნის დროს მაგიდის უჯრაში ხელთ მომხვდა ახალთის ცარიელი კოლოფი. ამოვიღე, შედ პატარა ბაღლი იყო გამოსახული. მე აღარ მახსოვდა ეაში დაკარგული საბრალო ლაბაკა და მისმა სვედიანმა თვალებმა კვლავ დამაფიქრეს კოსმოსურ სივრცეზე.

ოთახში ყიკინით შემორბიან ბავშვები. მართმევენ ახალთის ცარიელ კოლოფს და ისევ ეზოში მიიჩქარიან „ლა-ი-კას“ ხმაგაბმული ძახილით... ეტაკვენ მაგიდას, ნელი ნაბიჯით ღია ბალკონზე გავდივარ. ტირიფის რტოებში დუმს მთვარის ვეება ლუმბა, რომელსაც დროდადრო კაპასად უყვიფენ ჩვენი უბნის უჯიშო ძაღლები... კაი დედასა! დრო იყო, ლაბაკაც უყვიფდა ხოლმე... იქნება მისი ნახმევი ახლაც ტრიალებს ეაში და ეს უფრო აღიზიანებთ ჩვენი უბნის უჯიშო ძაღლებს.

მაშლების პირველ ყიავილზე ძლიან ვიძინრები ძილსა თუ ბურანში... აი, მე უკვე ვხედავ ერთ მთგანს. იგი მთვარეზე დგას გაფოფრული და ივანე მრისხანის სისხლიანი თვალებით უმზერს საკენკივით მიმოფანტულ ჭირხლიან ეარსკვლავებს...

მეორე დღეს ძალიან ვვიან მეღვიძება. ფოსტალიონს ბიძინა გოდერძიშვილის წერილი მოუტანია: ოცდახუთ თებერვალს თუ ჩემთან არ ჩამოხვედი, იცოდე ხმის გამცემი აღარ ვიქნები შენი, ეს ბედნიერი დღე ერთხელ მაინც გავატაროთ ერთად ჩვენი სიცოცხლის მანძილზეო... ბოლოს, იმასაც იტყოფნიბოდა, რომ აგტობუსების გაჩერებასთან თავის გაგა-ბიჭს დამახვედრებდა.

— ოცდახუთი თებერვალი! ოცდახუთი თებერვალი! — ვიმეორებდი ვიეეთით წამდაუწუმ და გამახსენდა, რომ ოცდახუთი თებერვალი ბიძინას დაბადების თარიღიც იყო.

ავტობუსების გაჩერებასთან გაგა-ბიჭი მართლაც დამხვდა. სულ ერთხელ ყოვდი ნანახი და მაინც მიცნო, შავი ხელჩანთა საჩქაროდ გამომართვა და შინისაკენ გამიძღვა...

ირგვლივ სინათლეს უფრო იმატა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეზოდან გამოსულმა შავთვალა გოგონამ ფერადი ბუშტი აუშვა ცაში. ყოველივე ამან გამახსენა ფიროსმანის შავ მუშამბაზე შესრულებული შედევრი „გოგონა ქაღალდურთით“. წითელხალათა გაგა-ბიჭსაც შავი ჩანთის მაგიერ ანკესი და წყლით სავსე ვედრო რომ სჭეროდა, ისიც ნამდვილად ფიროსმანის ნახატს დაემგვანებოდა.

ბიძინა შინ არ დაგვხვდა, რაიონში გამოეძახებინათ... ვფიქრობ, მალე დაბრუნდებაო, მოიბოდიშა დიასახლისმა და ეზოში ქათმები აკრიხა.

მეორეს შორის სიგრძეზე გაეჭიმული ალუმინის ეა კახეთის ეა ალეკინი ქვრივით მოიკენჭა ალაზნის დაყოლებაზე. მივიხედ-მოვიხედე, ეზოებში უცბად, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა, რამდენიმე თონე ერთად აბრიალდა, ნაპირწყლები ტკაცატკუცით წავიდნენ მაღლა-მაღლა... ცა ერთხანს უცნაურად განათდა. თითქოს კოსმოდრომზე ვყოფილიყვავი, ცივმა ურანატლმა დამიარა...

გაგა-ბიჭმა თავის ოთახში შემიპატიჟა, სინათლე ანთო, მხოლოდ ჩვენულებრივი კი არა, ისიფერი... შავ რიოალზე ორი ბრჭყვიალა ლეობუსი იდეა ერთმანეთის მოშორებით. ხელში მოვსინჯე — ორივე საოცრად ბისაკენ გაიშვირა, მარცხენათი კი საქაჩრე გვირგვინი მოუსინჯა თავის ერთადერთ ვაჟიშვილს, ხან „გაგა-ბიჭსა“ და ხან „გაგარინს“ რომ უძახის ხოლმე...

ბიძინას დაბადების სადღეგრძელო, ცხადია, მე უნდა მეთქვა და ვთქვი კიდეეც. შემდეგ თვითონ შეუდგა თამადობას და ცოლს ძალა რომ არ დაეტანებინა მისთვის, შეიძლება ეზოდან ჭერქვეშ არც გადაგვენაცვლა. ჯანგაატეხილი კაცი ბევრს ვინანებდი მერე...

მოკლედ, ჩემი შვებულების დანარჩენი დროც ბიძინას ძვირფას ოჯახში გავატარე. ზოგჯერ კოლმეურნეობაში გამიყოლებდა ხოლმე.

ერთხელ მექანიზაციის საამქროს უზარმაზარ ეზოშიც შევდგით ფეხი. შევატყვე, კაცი მთლად შეიცვალა.

— აბა, ჩემი მექანიზებენი დივიზიაა! — იყო მისი პირველი სიტყვა.

იმდღევანდელი უთქმელობის ყამირიც გატეხილად ჩავთვლიდ. ეზოში მართლაც სახნავ-სათესი მანქანებისა და კომბაინების მთელი ლაშქარი იდგა...

ბილიონობით გაზაფხულს ჩაუცლია დედამიწაზე. მაგრამ 1961 წლის გაზაფხლი მაინც სხვა იყო... მას შემდეგ შვიდჯერ იზეიმა ჩვენთან ერთად თორმეტი აპრილი ჩვენმა სახელოვანმა კოსმონავტმა. შვიდჯერ გააციცა მან თორმეტი აპრილი თავისი ბაჟვური ღიმილით ქვათა უსასრულობაში... მერვე ზეიმს ის აღარ დასწრებია, 1968 წლის ოცდაშვიდ მარტს ვლადიმერ სერიოგინთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა საჰაეროო კატასტროფაში...

ის კი ამბობდა თურმე...

— ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ცაში, მაღლა, მას დედამიწაზე ვერავითარი ძალით ვეღარ დაკავავებ... ო, როგორ მინდა კვლავაც ვეფეტქვრო კოსმოსს, განა ერთხელ?.. ბევრჯერ!..

ბოლოს ისიც უთქვამს:

— ფრენა ჩემი ოცნებაა, ჩემი სიცოცხლე!..

წლები კი მიდიან და მიიჩქარიან... მიიჩქარიან, როგორც ღრუბლები ქარიან ამინდში...

ჩემს მაგიდაზე დევს საბჭოთა კოსმონავტების მშვენიერი ფოტოსურათი. მათ შორის აღარ მოჩანს იური გაგარინის გაღიმებული სახე.

დახედავთ თუ არა, უპირველეს ყოვლისა ვალენტინა ტერეშკოვა მოგტაცებთ მზერას, ალბათ, იმიტომ, რომ კოსმოსის თვრამეტ ფაღალანში იგი ერთადერთი ქალია, ქალი, რომელმაც მეექვსე ხომალდ „აღმოსავლეთით“ ჯერ გაფრინა საბილიარდო ბურთი, ორმოცდარვა წრე დაარტყა დედამიწას 1963 წლის ივნისში. იგი თითქმის კვალდაკვალ მიჰყვა ორბიტაზე გასულ ვალერი ბიკოვსკის... დობილი აკლდათ ზეციურ ძმებს და აკი ჭაბუკებს ეს ოცნებაც კეთილად აუხდათ... იგი იღიმება, მაგრამ თვალის კილოებში მაინც კაეშნის ჩრდილი ჩაჰხვევია. ის ხომ გაგარინის ციური დობილიც იყო...

სულ სხვანაირ იერზე დავლანდე ვალენტინა 1967 წლის ოცდაათ მარტს, როცა სამმაულო ომის მონაწილე მწერლებს თავის თავგადასავალს გვიყვებოდა გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის ჰერქვეშ.

— მეტად რთული და მძიმეა ჩვენი მეცადინეობა დედამიწაზე, განსაკუთრებით, როდესაც კოსმოსში გაფრენის იმიტაციებს ვახდენთ. არის წუთები, რომ გული ამოვარდნაზეა.

ვალენტინა მცირე ხანს ჩერდება, თავს დაბლა ხრის, თითქოს ნანობს, ნამეტანი ხომ არ მომივიდაო და ლაწვებზე ოდნავ წამოწითლებული ისევ განაგრძობს:

— კოსმოსში ყოფნა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე დედამიწაზე მეცადინეობა. ეგ არის, კოსმოსიდან დაშვებაა ცოტა რთული, თორემ, — აქ ვალენტინა შეჩერდა, თითქოს სული მოითქვაო და ახლა უკვე სიცილით განაგრძო:

— 1963 წლის ივნისში კოსმოსიდან დაბრუნებისას, ეს პაჭუა ცხვარი ისე მიმეჭყლიტ-მიმეჭყლიტა, რომ ექიმებს ეგონათ ახლა კი სერიოზული საქმე გამოგვიჩნდაო. ასევე დაემართა ვალერი ბიკოვსკის, რომელსაც ორი დღით ადრე ორბიტაზე გასულს კოსმოსში დაეფრინა... ო, რა კარგი იყო ის წუთები, როდესაც ერთმანეთს შევეხმიანეთ.

ორივენი ალტაის მსარეში დავეშვით. სკაფანდრაში ხომ არ ემჩნევა ადამიანს მამაკაცია იგი თუ ქალი?! ჰოდა, ალტაის კოლმეურნე ქალებმა და მამაკაცებმა წრე დამარტყეს საგულდაგულოდ და როცა სკაფანდრიდან ამოვძვერი, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა... იცით, მეგობრებო, მე მაშინ მიწაზ ვაკოცე!..

ამ ამბავს შეკითხვები მოჰყვა შემდეგ.

— კიდევ აპირებთ კოსმოსში გაფრენას?! — ასეთი იყო პირველი კითხვა.

— მე კი ვაპირებ, მაგრამ ჩემისთანები სხვებიც არიან. ისინიც ხომ ისევე ოცნებობენ პირველ გაფრენაზე, როგორც მე რამდენიმე წლის წინათ, როცა გაგარინის გმირული მაგალითი იმედივით მიმიძღოდა წინ! — თქვა ვალენტინამ და წამით სველი შუქი აუციაფდა თვალებში.

ვატყობ, ჩვენ შორის გზა გაჩახით იფარება, ჯუმბერ ჩემო!.. მწერალი კაცი ხარ, გამოდი გარეთ, თვალს შუქი დაალეგინე... რა იქნება წლეულანდელი შვებულებაც ჩემთან გაატარო. ხომ იცი, ოჯახში არაფერი მიჭირს. გაგა-ბიჭიც სულ შენს ხსენებაშია, ნეტავ ერთხელ კიდევ წაბვიდნ... კურორტზე არსად წასვიდე, ჩვენი სოფელი ყველა კურორტს ცეროზე დაისვამს! — ასე მწერდა ჩემი სიყრმის მეგობარი 1968 წლის თებერვალში.

რა უნდა მექნა, მეც ავდექი და თანხმობის წერილი ვაფრინე...

გაგა-ბიჭმა თავისი ოთახი მე დამითმო სამუშაოდ, თვითონ მამის ოთახში მოთავსდა, ის მაინც მთელ დღეებს გარეთ ატარებსო... პირველად მეუხერხულა, უარი ვთქვი კიდეც მერე, კი მივიჩვევე, განსაკუთრებით ხოკერა გოგრისაგან გაკეთებული ორი მოსაიკური გლობუსის წყალობით. ამას დაემატა გაგა-ბიჭის მიერვე მშვენიერ ფერებში შესრულებული სურათი „გაგარინი საბილიარდო მაგიდასთან“, რის შემდეგაც მთლად გავეშინაურდი ყველას და ყოველივეს. როცა შთაგონება მოფატობდა, სულ ამ სურათს შევცქეროდი.

შევცქეროდი და მომწყანო-მოყვითლო მკვრივი ბურთი, რომელიც მაუდგადაკრული შუა მაგიდაზე იყო გაჩერებული, თანდათან ისე დიდდებოდა და ფართოვდებოდა, თითქოს ჩემს წინაშე ბურთი კი არა, თვითონ დედამიწა ყოფილიყო კოსმოსურ სივრცეში გარჩენილი.

საბილიარდო ჯოხით ხელში, როგორც ამას წარწერაც იუწყებოდა, მაგიდასთან იდგა კოსმოსიდან დაბრუნებული პირველი კოსმონავტი, რომელიც პირველი დარტყმისათვის ემზადებოდა. თუმცა მერე და მერე ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ დამიზნებული ჯოხის წვერი მხოლოდ ისე უბრალოდ, მოსასხენჯად შეეხებოდა „დედამიწად ქცეულ“ საბილიარდო ბურთს, რათა წონასწორობიდან არ გამოსულიყო იგი და კოსმოსურ სივრცეში არ გამჭრალიყო უკვალოდ...

ეი ამ ფიქრებში ვიყავ გართული, რომ ოთახში გაგა-ბიჭმა და მამამისმა თანაგრძნობა ეარიან. ისინიც ხომ ისევე ოცნებობენ პირველ გაფრენაზე, როგორც მე რამდენიმე წლის წინათ, ოღონ ეს ოცნებაც კეთილად აუხდათ... იგი იღიმება, მაგრამ თვალის კილოებში მაინც კაეშნის ჩრდილი ჩაჰხვევია. ის ხომ გაგარინის ციური დობილიც იყო...

სულ სხვანაირ იერზე დავლანდე ვალენტინა 1967 წლის ოცდაათ მარტს, როცა სამმაულო ომის მონაწილე მწერლებს თავის თავგადასავალს გვიყვებოდა გორკის სახელობის ლიტერატურული ინსტიტუტის ჰერქვეშ.

— მეტად რთული და მძიმეა ჩვენი მეცადინეობა დედამიწაზე, განსაკუთრებით, როდესაც კოსმოსში გაფრენის იმიტაციებს ვახდენთ. არის წუთები, რომ გული ამოვარდნაზეა.

ვალენტინა მცირე ხანს ჩერდება, თავს დაბლა ხრის, თითქოს ნანობს, ნამეტანი ხომ არ მომივიდაო და ლაწვებზე ოდნავ წამოწითლებული ისევ განაგრძობს:

— კოსმოსში ყოფნა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე დედამიწაზე მეცადინეობა. ეგ არის, კოსმოსიდან დაშვებაა ცოტა რთული, თორემ, — აქ ვალენტინა შეჩერდა, თითქოს სული მოითქვაო და ახლა უკვე სიცილით განაგრძო:

— 1963 წლის ივნისში კოსმოსიდან დაბრუნებისას, ეს პაჭუა ცხვარი ისე მიმეჭყლიტ-მიმეჭყლიტა, რომ ექიმებს ეგონათ ახლა კი სერიოზული საქმე გამოგვიჩნდაო. ასევე დაემართა ვალერი ბიკოვსკის, რომელსაც ორი დღით ადრე ორბიტაზე გასულს კოსმოსში დაეფრინა... ო, რა კარგი იყო ის წუთები, როდესაც ერთმანეთს შევეხმიანეთ.

ორივენი ალტაის მსარეში დავეშვით. სკაფანდრაში ხომ არ ემჩნევა ადამიანს მამაკაცია იგი თუ ქალი?! ჰოდა, ალტაის კოლმეურნე ქალებმა და მამაკაცებმა წრე დამარტყეს საგულდაგულოდ და როცა სკაფანდრიდან ამოვძვერი, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა... იცით, მეგობრებო, მე მაშინ მიწაზ ვაკოცე!..

ამ ამბავს შეკითხვები მოჰყვა შემდეგ.

— კიდევ აპირებთ კოსმოსში გაფრენას?! — ასეთი იყო პირველი კითხვა.

— მე კი ვაპირებ, მაგრამ ჩემისთანები სხვებიც არიან. ისინიც ხომ ისევე ოცნებობენ პირველ გაფრენაზე, როგორც მე რამდენიმე წლის წინათ, როცა გაგარინის გმირული მაგალითი იმედივით მიმიძღოდა წინ! — თქვა ვალენტინამ და წამით სველი შუქი აუციაფდა თვალებში.

ვატყობ, ჩვენ შორის გზა გაჩახით იფარება, ჯუმბერ ჩემო!.. მწერალი კაცი ხარ, გამოდი გარეთ, თვალს შუქი დაალეგინე... რა იქნება წლეულანდელი შვებულებაც ჩემთან გაატარო. ხომ იცი, ოჯახში არაფერი მიჭირს. გაგა-ბიჭიც სულ შენს ხსენებაშია, ნეტავ ერთხელ კიდევ წაბვიდნ... კურორტზე არსად წასვიდე, ჩვენი სოფელი ყველა კურორტს ცეროზე დაისვამს! — ასე მწერდა ჩემი სიყრმის მეგობარი 1968 წლის თებერვალში.

რა უნდა მექნა, მეც ავდექი და თანხმობის წერილი ვაფრინე...

გაგა-ბიჭმა თავისი ოთახი მე დამითმო სამუშაოდ, თვითონ მამის ოთახში მოთავსდა, ის მაინც მთელ დღეებს გარეთ ატარებსო... პირველად მეუხერხულა, უარი ვთქვი კიდეც მერე, კი მივიჩვევე, განსაკუთრებით ხოკერა გოგრისაგან გაკეთებული ორი მოსაიკური გლობუსის წყალობით. ამას დაემატა გაგა-ბიჭის მიერვე მშვენიერ ფერებში შესრულებული სურათი „გაგარინი საბილიარდო მაგიდასთან“, რის შემდეგაც მთლად გავეშინაურდი ყველას და ყოველივეს. როცა შთაგონება მოფატობდა, სულ ამ სურათს შევცქეროდი.

შევცქეროდი და მომწყანო-მოყვითლო მკვრივი ბურთი, რომელიც მაუდგადაკრული შუა მაგიდაზე იყო გაჩერებული, თანდათან ისე დიდდებოდა და ფართოვდებოდა, თითქოს ჩემს წინაშე ბურთი კი არა, თვითონ დედამიწა ყოფილიყო კოსმოსურ სივრცეში გარჩენილი.

საბილიარდო ჯოხით ხელში, როგორც ამას წარწერაც იუწყებოდა, მაგიდასთან იდგა კოსმოსიდან დაბრუნებული პირველი კოსმონავტი, რომელიც პირველი დარტყმისათვის ემზადებოდა. თუმცა მერე და მერე ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ დამიზნებული ჯოხის წვერი მხოლოდ ისე უბრალოდ, მოსასხენჯად შეეხებოდა „დედამიწად ქცეულ“ საბილიარდო ბურთს, რათა წონასწორობიდან არ გამოსულიყო იგი და კოსმოსურ სივრცეში არ გამჭრალიყო უკვალოდ...

ეი ამ ფიქრებში ვიყავ გართული, რომ ოთახში გაგა-ბიჭმა და მამამისმა

ხუდაპეშტში დამთავრდა საერთაშორისო კონკურსი „სოციალისტური ფოტოხელოვნებისათვის“, რომელიც ეწყობა 2 წელიწადში ერთხელ. ფოტოკონკურსში მონაწილეობდა რვა ქვეყანა: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, საბჭოთა კავშირი, იუგოსლავია, ბულგარეთი. საკონკურსოდ წარმოდგენილი იყო 4.491 ავტორის 50.666 ნამუშევარი.

ფოტოკონკურსზე სამი პრემია მიეკუთვნა თბილისელ ა. საკაპვის სურათებს. მათ შორის ერთ-ერთი პრემია დაიმსახურა სურათმა „ცმკმა ბანდაბან“, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ.

სპორტი

ოქროს მედლები მეთერთმეტეხერ

ჩვენი ქვეყნის კალათბურთელ ეკათა აღიარებული კოლექტივი— ცსკა-ს გუნდი მეთერთმეტეჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. არმიელ კალათბურთელებს უკანასკნელი მატჩი ჰქონდათ მთავარ მეტოქესთან — ლენინგრადის „სპარტაკთან“ — და გაიმარჯვეს 81:58 (37:30). განვლილ შეხვედრებში ცსკა-ს მხოლოდ ერთი დამარცხება ჰქონდა, „სპარტაკს“ — ორი. სწორედ ამ გუნდების მატჩმა გადაწყვიტა ოქროს მედლების ბედი.

არმიელებმა კარგად გამოიყენეს თავიანთი მაღალი ტანის მოთამაშეები, მაგალითად, ანდრეევმა თავის გუნდს 26 ქულა მოუტანა. როგორც ყოველთვის ჩინებულად ითამაშა ს. ბელოვმა— 23 ქულა. ლენინგრადის „სპარტაკი“ უკვე მესამე წელია ზედიზედ მეორე ადგილზე გამოდის. ბრინჯაოს პრიზიორი გახდა კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი, რომელმაც 13 ქულა შეაგროვა. ამფეხვე ქულით მეოთხე ადგილზე გამოვიდა თბილისის „დინამო“, რომელსაც უარესი მაჩვენებლები აღმოაჩინა კიევის არმიელებთან შეხვედრაში. მეხუთე ადგილი დაიკავა ტარტუს „ალვემა“, მეექვსე — კაუნასის „ჟალგირისმა“ (ორივეს 12-12 ქულა), მეშვიდე — კიევის „სტროიტელმა“, მერვე — მოსკოვის „დინამომ“ (11-11 ქულა), მეცხრე — თბილისის „ბურევესტნიკმა“ (7 ქულა), მეათე — ვილნიუსის „სტატიბამ“ (6 ქულა). ვილნიუსის „სტატიბამ“ და თბილისის „ბურევესტნიკმა“ დატოვეს უმაღლესი ლიგა.

ჩემპიონატი ამოიწურა, კალათბურთის სეზონი კი გრძელდება. ორი კვირის შემდეგ საბჭოთა კავშირს ეწვევა ოლიმპიური ჩემპიონი — ამერიკის გუნდი. ამერიკელები გამოვლენ მოსკოვში, კიევში, ვილნიუსში, ტალინში და შესაძლოა ლენინგრადში. 25-30 ივლისს კი თბილისში მოეწყობა საერთაშორისო ტურნირი ი. გაგარინის სახელობის პრიზზე. ტურნირზე მოწვეული არიან ამერიკის, ბრაზილიის, იტალიის და სხვა ქვეყნების გუნდები.

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 12 აპრილისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზარია“	2	2	0	0	6-1	4
„ნეფტჩი“	2	2	0	0	2-0	4
„დინამო“ (თბ.)	2	1	1	0	1-0	3
„ლოკომოტივი“	2	1	1	0	1-0	3
„ზენიტი“	2	1	1	0	4-3	3
„დნეპრი“	2	1	1	0	5-4	3
ცსკა	2	1	0	1	4-3	2
„კირატი“	2	0	2	0	1-1	2
„დინამო“ (კ.)	2	1	0	1	2-3	2
„სპარტაკი“	2	1	0	1	2-3	2
„დინამო“ (ეს.)	2	0	1	1	0-1	1
„ტორპედო“	2	0	1	1	1-2	1
„დინამო“ (მ.)	1	0	0	1	0-1	0
„არარატი“	1	0	0	1	0-1	0
სკა	2	0	0	2	0-3	0
„კარპატი“	2	0	0	2	1-4	0

ორი ლიდერი

პარაღაში მიმდინარეობს მსოფლიოსა და ევროპის პირველობების გათამაშება ბაიბან ჰოკეიში. გუშინდღამდე გაიმართა 8 მატჩი. ლიდერები არიან სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები, რომლებმაც სტარტზე სამ-სამი გამარჯვება მოიპოვეს და ექვს-ექვსი ქულა აქვთ.

ეჯირასა და ორშაბათს შედგა ოთხი მატჩი. წარმატებით იბრძოდნენ ჩეხოსლოვაკიელი ჰოკეისტები შვეიცის ძლიერი კოლექტივის წინააღმდეგ და გაიმარჯვეს 4:1, ორშაბათს კი მოუგეს გფრ-ის გუნდს 8:1. საბჭოთა ნაკრებმა შეხვედრები ფინეთისა და შვეიცარიის გუნდებთან მოიგო თანაბარი ანგარიშით 10.2.

დღეს გაიმართება ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ჰოკეისტებს შორის.

რამდენიმე სტრიქონით

□ **მინსკში** ფიგურისტთა საკავშირო პირველობაზე ქალთა ერთეულებში წარმატებით გამოვიდა მოსკოვის გარეუბნელი მ. ტიტოვა, რომელმაც მეორეჯერ მოიპოვა ზედიზედ ჩემპიონის ტიტული. მეორე იყო ტ. ოლენევა (ლენინგრადი), მესამე — ე. კოტოვა (მოსკოვი).

□ **ცნობილმა** ფინელმა საშუალო წონის ძალოსანმა კ. კანგასნიემმა თავის ქვეყნის ჩემპიონობაზე ატაცში აწვინა 155,5 კილოგრამი და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მაგრამ იმავე დღეს ბუდაპეშტში გამართულ საერთაშორისო ასპარეზობაზე ბულგარელმა შტანგისტმა რ. როსევმა ამავე წონაში აიტაცა 156 კილოგრამი და მსოფლიო რეკორდსმენი გახდა.

ი. არუთინოვი



91 წლის ასაკში გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1918 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი **ოსიპ აბრამის-ძე არუთინოვი.**

ი. არუთინოვი დაიბადა ჭ. დუშეთში ხელოსნის ოჯახში. 1905 წლის რევოლუციის დროს მონაწილეობდა მეჯიდიჯრის გლეხთა გამოსვლებში. იგი ასისთავად აირჩიეს და აჯანყებულთა ერთ-ერთ რაზმს ხელმძღვანელობდა.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ კვლავ ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. ამ პერიოდში შედის რსდმპ რიგებში და უკავშირდება ს. მელმარაშვილის განსაკუთრებული დანიშნულების შეიარაღებულ რაზმს, რომელიც თავდადებით იბრძოდა დენიკინის თეთრგვარდიელი ბანდიტების წინააღმდეგ. 1919 წელს დენიკინის მიერ კავკასიის აღების შემდეგ დუშეთში დაბრუნდა და პარტიულ მუშაობაში ჩაება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების — შემდეგ 1921 წლის თებერვლიდან 1927 წლამდე მუშაობდა მჭადიჯრის სათემო აღმასკომის თავმჯდომარედ. ხოლო 1927 წლიდან 1930 წლამდე მჭადიჯრის სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ. 1930-დან 1954 წლამდე ი. არუთინოვი იყო სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოზე. 1954 წლიდან გარდაცვალებამდე რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია.

ი. არუთინოვი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

ი. არუთინოვის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი შვილების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

დისერტაციების დაცვა

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 3, ფიზიკის დიდი აუდიტორია).

22 აპრილს დღის 2 საათზე **ზაურ ხოლომონის-ძე ქაჯლიშვილი** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„გალვანომაგნიტური მოვლენები და რეკომბინაციური ეფექტები ძლიერ ელექტრულ ველში“.**

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

(სოხუმი-კელასური).

1972 წლის 5 მაისს დღის 12 საათზე ინსტიტუტის საქტო დარბაზში სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნონა ირაკლის ასული ლეკვეიშვილი** დისერტაციას დაიცავს თემაზე: **„ზოგიერთი ფოსფორორგანული ინსექტიციდის ფიტოტოქსიკური მოქმედების კანონზომიერებანი ციტრუსებზე“.**

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ლეილა კლატონის ასული ფეტელავა** დისერტაციას დაიცავს თემაზე: **„საკვები ელემენტების (NPK) გამორეცხვა ნაშუალო ეწერ და ალუვიურ ნიადაგებიდან და ხასუქების ეფექტიანობა“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ტელევიზია

12 აპრილი

პირველი პროგრამით

11.05 — **სატელევიზიო ფილმი**— 12.00 — „სიმღერები გაგარინზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.20 — ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „ეფხვიერა მარსთან“, 12.35 — დოკუმენტური ფილმი „მოთხრობა ჩემს მეგობარზე“, 17.40 — მეცნიერული კომუნაზმის საფუძვლების შემსწავლელთა დასახმარებლად, 18.00 — კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან, 19..15— მოსწავლეთათვის. „სსრ კავშირი-50“, „თავისუფალ ერთა ძმურ ოჯახში“, 19.35 — „ადამიანი და სამყარო“, — 20.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“ (მეხუთე სერია), 21.30 — მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირი ბოლო პერიოდი (გადმოცემა პრაღიდან), 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — კონცერტი, მიძღვნილი კოსმონავტიკის დღისადმი (ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან), 00.15 — ფერადი ტელევიზია. მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ფინეთი-შვეიცარია. მეორე და მესამე პერიოდი (გადმოცემა პრაღიდან).

მეორე პროგრამით

18.20 — სკოლების დასახმარებლად — ქიმია (ანგეგა-აღდგენის რეაქცია), 19.05 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მუშაობა და სიმძლავრე). მეექვსეკლასელთათვის). 21.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია დოკუმენტური ფილმი „ოლოხოს ხალხის ხელოვნება“, 21.45 — „კინოაფიშა“.

13 აპრილი

პირველი პროგრამით

11.00 — **მხატვრული ფილმი** „დღე წინ არის“, 12.25 — „პროდუქცია და მოხმარებელი“ (გადმოცემა ვილნიუსიდან), 12.55 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.15 — „ავტომატები იპყრობს კოსმოსს“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.05 — ამბტურიენტთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.50 — ბავშვებისათვის, მხატვრული ფილმი „მზეთუნახავი“